# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 28 თებერვალი. 2018 წ. №42 (8443), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.



## დაუდევრობა და უპასუხისმგებლობა – მუშის მტერი

შრომის უსაფრთხოების არაეფექტური სტანდარტები ③

## სახელისუფლებო ორგანოში დაუმსახურებელ პრემიებს და დანამატებს იღებენ... ④

## სად ველარ მოწევ სიგარეტს პირველი მაისიდან?! ⑪



⑩

## ლევან გორგაძის მორიგი ამაღლება

## სამარშრუტო რებუსი – ვის სჭირდება ნაღდი ფულით გადახდა ④

## ხელედულა-3 ჰესის აშენებას ეწინააღმდეგებიან

ლენტეხში მოსახლეობა „ხელედულა-3 ჰესის“ მშენებლობას აპროტესტებს. ისინი ფიქრობენ, რომ ჰესის აშენების შემთხვევაში, ორასზე მეტ ოჯახს დატბორვა ემუქრება. სოფლების წანაშის, ლესემას და ხელედის



მცხოვრებთა განცხადებით, ჰესის მშენებლობა გაზაფხულზე იწყება, ხელედულა და დევაშის დამაკავშირებელ ხეობაში 4-კილომეტრიანი გვირაბი უნდა აშენდეს. აღსანიშნავია, რომ ჰესის აშენება მეწყერსაშიშ ზონაში იგეგმება.

## ნუ მოვსპობთ XXI საუკუნის მასალის სიცოცხლეს!

„თქმა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“
რუსთაველი



ბორდო (საფრანგეთი). ქართული ქვევრის მონუმენტის გახსნა.

⑥-⑦

## შეძლებელია, რომ მიხო მეტად ფასეული მოქმედი აგენტია...



③



## კიევში მიშას ლანდიც არ ისვენებს!

**კიევში, რადას შენობასთან, მიხეილ სააკაშვილის მომხრეებთან დაპირისპირებისას 13 ძალოვანი დაშავდა. რამდენიმეს აქვს ცხვირისა და ლავიწის მოტეხილობები. დაკავებულია ცხრა სამართალდამრღვევი“,** – ამის შესახებ უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩეველმა ზორიან შკირიაკმა საკუთარი „ფეისბუქის“ გვერდზე განაცხადა. მისივე ინფორმაციით, დემონსტრანტებმა გამოიყენეს „მოლოტოვის კოქტეილები“, ხელკეტები და მეტალის საგნები და ცდილობდნენ საბურავების დაწვას.

**„სახალხო ფრონტის“ დეპუტატის ანტონ გერაშენკოს განცხადებით, სააკაშვილის მხარდამჭერებმა რადასთან საბურავების დაწვა სცადეს, რისი უფლებაც მათ სამართალდამცველებმა არ მისცეს. დაპირისპირება სწორედ ამის შემდეგ დაიწყო. პოლიციამ 9 ადამიანი დააკავა.**

## გაზეთი გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



# აშშ-ის ადმინისტრაცია საქართველოს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რაც მისასალმებელია

**საქართველო სამაგალითოა განხორციელებული რეფორმებით და დემოკრატიის კუთხით რეგიონში,** — ამის შესახებ „ამერიკელ ებრაელთა კომიტეტის“ დელეგაციამ საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

საუბრისას ხაზი გაესვა ქართველი და ებრაელი ხალხის 26-საუკუნოვან მეგობრობას და განსაკუთრებულ ურთიერთობებს. დელეგაციამ კომიტეტის მთავარი აღმასრულებელი დირექტორის დეივიდ ჰარისისა და კომიტეტის პრეზიდენტ ჯონ შაპიროს ხელმძღვანელობით პოზიტიურად შეაფასა საქართველოსა და ისრაელს შორის არსებული კავშირები და გამოთქვა მზადყოფნა, ხელი შეუწყოს მათ შემდგომ გაღრმავებას.

აშშ-ში მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ორგანიზაცია, რომელსაც სოლიდური, სტრატეგიული დონის კავშირები აქვს მრავალ ქვეყანაში, ასევე მზად არის საქართველოს მხარდაჭერისთვის, როგორც აშშ-თან ორმხრივ ურთიერთობებში, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებში. დელეგაციამ აღნიშნა, რომ მათი ინფორმაციით, აშშ-ის ადმინისტრაცია საქართველოს ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რაც მათთვის მისასალმებელი და სასიხარულოა.

შეხვედრისას საუბარი შეეხო საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით არსებულ გამოწვევებს და ოკუპაციის პრობლემას. გამოითქვა მწუხარება ცხინვალში გაურკვეველ ვითარებაში საქართველოს მოქალაქის გარდაცვალების გამო.

ასევე, ყურადღება გამახვილდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ ნაბიჯებზე. „ამერიკელ ებრაელთა კომიტეტმა“ დადებითად შეაფასა საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემო და გამოთქვა მზადყოფნა, ხელი შეუწყოს საქართველოს მეტი უცხოური ინვესტიციის მოზიდვის პროცესში.

# მამუკა ბახტაძე აშშ ელჩს შეხვდა

**საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ და ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში იან კელიმ. გამოსამშვიდობებელ შეხვედრაზე ფინანსთა მინისტრმა ელჩს გააცნო მთავრობის მიერ მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმები.**

მამუკა ბახტაძემ აშშ-ის ელჩს მადლობა გადაუხადა საქართველოში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისთვის, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავებაში შეტანილი წვლილისთვის და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში.



# დიმიტრი ქუმსიშვილი: 2018-2019 წლებში საქართველოში 220-ზე მეტი განთავსების ობიექტის გახსნა იგეგმება

**„ტურიზმის განვითარება და ხელშეწყობა მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომლის ციფრებში გამოხატული შედეგებიც საკმაოდ შთამბეჭდავია“,** — ამის შესახებ საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა სასტუმრო „რამადა ენკორ თბილისის“ გახსნაზე განაცხადა. პირველი ვიცე-პრემიერის თქმით, აქტიური მუშაობის შედეგია, რომ საქართველოში იზრდება საერთაშორისო ავიარეისების რაოდენობა, ვითარდება და ფართოვდება აეროპორტები და მიმდინარეობს ტურისტულად მნიშვნელოვანი ადგილების სწორი განაშენიანების გეგმების შედგენა.

მინისტრის განმარტებით, ეს არის ძალიან დინამიკური პროცესი, რომელიც საბოლოოდ ემსახურება იმას, რომ ტურიზმმა ქვეყანაში მეტი შემოსავლები მოიტანოს და ახალი სამუშაო ადგილები შექმნას.

**„2017 წელს შვიდ მილიონ ნახევარზე მეტი საერთაშორისო ვიზიტორი გვყავდა, საიდანაც 3 მილიონ 400 ათასზე მეტი ტურისტი იყო. უახლოესი მიზანია 11 მილიონი საერთაშორისო ვიზიტორი. სწორედ ეს გვიბიძგებს ახალი ინვესტიციების განხორციელებისთვის და სწორედ ეს არის მამოძრავებელი ძალა ინვესტორებისა და ჩვენი ქვეყნისთვის“,** — აღნიშნა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა. აღსანიშნავია, რომ 2015-2017 წლების განმავლობაში, საქართველოში გაიხსნა 200-ზე მეტი განთავსების ობიექტი, 13,700-ზე მეტი საწოლი ადგილით; ხოლო 2018-2019 წლების განმავლობაში იგეგმება 220-ზე მეტი განთავსების ობიექტის გახსნა, 22,200-ზე მეტი საწოლი ადგილით.

* * *

**„სასტუმრო „რამადა ენკორ თბილისის“ ინვესტიციები სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის ერთ-ერთი კარგი მაგალითია, როცა პროცესი თავიდან ბოლომდე სწორად არის აწყობილი და წარმატებულ შედეგს ვიღებთ,** — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

მისი თქმით, 2014 წლის ბოლოს გამოცხადდა ღია აუქციონი საინვესტიციო ვალდებულებებით, რომლის მოთხოვნა იყო სულ მცირე 150-ნომრიანი სასტუმროს მშენებლობა და სულ მცირე 25 მილიონი ლარის ინვესტირება.

**„დღეს კი გვაქვს სასტუმრო 152 ნომრით, რომელშიც 14 მილიონი დოლარია ინვესტირებული. დღეის მდგომარეობით, სასტუმროში დასაქმებულია 100 ადამიანი, თუმცა მომავალში კომპანიას „$m^2$ უძრავი ქონება“ სამუშაო ადგილების ზრდა და სასტუმროების მშენებლობა აქვს დაგეგმილი“,** — აღნიშნა პირველმა ვიცე-პრემიერმა.

სასტუმრო „რამადა ენკორ თბილისი“ კომპანია „$m^2$ უძრავი ქონების“ პროექტია. სასტუმროს მშენებლობა საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია IFC-მ დააფინანსა, რომელიც მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, განვითარებაზე ორიენტირებული ყველაზე მსხვილი საერთაშორისო ინსტიტუტია განვითარებადი ქვეყნების კერძო სექტორის ხელშეწყობის კუთხით.



# გერმანია სრულ და გამჭვირვალე გამოძიებას მოითხოვს!

**გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ცხინვალის რეგიონში საქართველოს მოქალაქის არჩილ ტატუნაშვილის დაღუპვის ფაქტს გამოეხმაურა.**

აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის საკითხებზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა ანდრეას პეშკემ საკუთარი ტვიტერის გვერდზე ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის/ევროპული სამეზობლოს პოლიტიკისა და გაფართოების შესახებ მოლაპარაკებების საკითხებში სპიკერის განცხადებას გამოეხმაურა.

**„ჩვენ ვიზიარებთ ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის სპიკერის შეშფოთებას სამხრეთ ოსეთში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან და საქართველოს მოქალაქის ტრაგიკულ დაღუპვასთან დაკავშირებით და ვუერთდებით მის მოწოდებას გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად დამატებითი ღონისძიებების გატარების შესახებ“** — ნათქვამია ანდრეას პეშკეს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

* * *

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტი ცხინვალში, დე ფაქტო ხელისუფლების მიერ დაკავებული საქართველოს მოქალაქის არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალების გამო ღრმა შეშფოთებას გამოხატავს და მომხდარს გმობს. ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს პარლამენტი ავრცელებს: **„ტრაგიკულ ინციდენტზე სათანადო რეაგირებისკენ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და ასამბლეაში საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელმა თამარ ჩუგოშვილმა მოუწოდა.**

**ცხინვალში მომხდარს მონიტორინგის კომიტეტის თანამომხსენებლები — კერსტინ ლუნდგრენი და ტიტუს კორლატეანი საგანგებო განცხადებით ეხმაურებიან.**

**„მოვუწოდებთ როგორც რუსეთის ფედერაციის, ასევე ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებას, ჩატარდეს სრული და გამჭვირვალე გამოძიება არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით და დაისაჯონ დანაშაულზე პასუხისმგებელი პირები. ასევე, მოვუწოდებთ, დაუყოვნებლივ მოხდეს არჩილ ტატუნაშვილთან ერთად დაკავებული საქართველოს ორი მოქალაქის გათავისუფლება და მათი თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოყვანა“,** — ნათქვამია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის თანამომხსენებლების განცხადებაში.

კერსტინ ლუნდგრენი და ტიტუს კორლატეანი კიდევ ერთხელ ადასტურებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურყევ მხარდაჭერას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში“, — ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.



# გაერო ტატუნაშვილის საქმეზე გამოძიების ჩატარებას მოითხოვს

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი არჩილ ტატუნაშვილის საქმეზე გამოძიების ჩატარებას მოითხოვს და მზადყოფნას გამოთქვამს, ამ პროცესს მხარი დაუჭიროს.

**„შეშფოთებულნი ვართ 22 თებერვალს, ცხინვალში, პატიმრობაში მყოფი საქართველოს მოქალაქის არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალების გამო. მოვითხოვთ მის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ფაქტების სარწმუნო და გამჭვირვალე გამოძიებას, მზადყოფნას გამოვთქვამთ მხარი დავუჭიროთ ამ პროცესს“,** — ნათქვამია განცხადებაში, რომელიც გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისის ოფიციალური ტვიტერის გვერდზე ვრცელდება.

# ტატუნაშვილის ცხედარი ცხინვალშია, რუსეთში მხოლოდ საექსპერტო მასალებია გადაგზავნილი

**სუს-ის ანალიტიკური სამსახურის უფროსის მოადგილის ინფორმაციით, არჩილ ტატუნაშვილის ცხედარი ცხინვალშია და რუსეთის ფედერაციაში მხოლოდ საექსპერტო მასალებია გადაგზავნილი.** განცხადება კახაბერ ქემოკლიძემ გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში მორიგი შეხვედრის დაწყებამდე გააკეთა: **„დე ფაქტო ხელისუფლების ე.წ. საინფორმაციო საშუალებებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტატუნაშვილის ცხედარი რუსეთშია გადასვენებული. ჩვენ ცხელი ხაზის მეშვეობით კიდევ ერთხელ გადავამოწმეთ გვიან ღამით ეს ინფორმაცია და დაგვიდასტურეს, რომ ცხედარი ნამდვილად ცხინვალშია“** — აცხადებს ქემოკლიძე.

მისი თქმით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და ხელისუფლება მუშაობს, რომ ცხედარი რაც შეიძლება მალე დაუბრუნდეს ოჯახს, ახალგორში უკანონოდ მყოფი ორი პირი კი ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოვიდნენ.

**„ახალგორში განვითარებული მოვლენები კლასიკური მაგალითია, რომ დაუსჯელობას დე ფაქტო მთავრობებისა და რუსეთის საოკუპაციო ძალების მხრიდან კიდევ უფრო მძიმე დანაშაული შეიძლება მოჰყვეს. სწორედ ამ პათოსით ვისაუბრებთ შეხვედრაზე და შევახსენებთ როგორც დე ფაქტო ხელისფლების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომ აუცილებელია მკვლელობაში მსჯავრდებული პირის, მათ შორის, გიგა ოთხოზორიას მკვლელობაში ბრალდებული რაშიდ კანჯი-ოღლის დაკავება და ქართული კანონმდებლობით მისი გასამართლება“,** — განაცხადა ქემოკლიძემ.

# ადმინისტრაცია საუბრობს, რომ სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისით „თერგი“ ყველაზე გამართული ობიექტი იყო

**როგორც ადმინისტრაცია საუბრობს, ობიექტზე ელექტროგაყვანილობა რამდენიმე თვის წინათ შეიცვალა, ასევე სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისით აღნიშნული სავაჭრო ცენტრი**



**ერთ-ერთი ყველაზე გამართული იყო,** — ამის შესახებ თბილისის მერმა სავაჭრო ცენტრ „თერგის“ ადმინისტრაციასთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

* * *

**ხანძრის შედეგად დაზარალებულებს საშუალება ექნებათ, იჯარის გადასახდელად შეღავათიანი ვადებით ისარგებლონ,** — ამის შესახებ თბილისის მერმა განაცხადა. კახა კალაძე ცაბაძის ქუჩაზე იმყოფებოდა და დაზარალებულებსაც გაესაუბრა.

**„როგორც კი ექსპერტ-კრიმინალისტები დაასრულებენ თავიანთ სამუშაოებს, რომ დადგინდეს მიზეზები, მაშინვე დაიწყება აღდგენითი სამუშაოები ამ კონკრეტული ბაზრობის, დამწვარი ფართების. მანამდე, დროებით, ვისი სავაჭრო საქონელიც გადარჩა, მათ მიეცემათ შესაძლებლობა, გვერდით ფართებში გადაიყვანონ ეს ადამიანები, რათა გააგრძელონ საქმიანობა. როდესაც სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდება, აქ მომუშავეებს მიეცემათ შესაძლებლობა, რომ მიეცეთ შეღავათიანი ვადები, იჯარის თანხებს ვგულისხმობ და გააგრძელებენ თავიანთ საქმიანობას. რაც შეეხება ზარალს, ადმინისტრაცია მზად არის, ინდივიდუალურად შეხვდეს და შემდეგ უნდა მოხდეს აღწერა და შემდეგ ინდივიდუალურად იქნება გადაწყვეტილება მიღებული...**

**როგორც ადმინისტრაცია საუბრობს, რამდენიმე თვის წინათ მოხდა ელექტროობის ცვლილება და შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ობიექტი იყო, რომელიც გამართული იყო სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისით, თუმცა დადგინდება მიზეზები“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

## სავაჭრო ობიექტების დაზღვევა აუცილებელია

ბიზნესომბუდსმენი სავაჭრო ცენტრების დაზღვევაზე საუბრობს. **ირაკლი ლექვინაძე** ამბობს, რომ მსგავსი ობიექტები დაზღვეული იყოს.

**„გასული წლის პრაქტიკამაც და სამწუხაროდ, გუშინწინდელმა დღემაც აჩვენა, რომ მსგავსი ტიპის გადაწყვეტილება ამ კუთხით საჭიროა. ეს უკავშირდება ადამიანის, მომხმარებლების უსაფრთხოებას, მეორე მხრივ, იმ მეწარმეების უფრო მეტად დაცულობას, რომლებიც სამწუხაროდ, დაზღვევის როლს და ფუნქციას ჯერ კიდევ ისე აქტუალურად არ აფასებენ, როგორც ეს მნიშვნელოვანია. მერე ეს იწვევს, რომ დანაკარგები არის ძალიან მაღალი და ყველა მიდის სახელმწიფო უწყებებამდე ზარალის ან კომპენსაციის მოთხოვნით, ამიტომ ეს მოცემულობა გვაჩვენებს, რომ აქ რაღაც გადაწყვეტილებები საჭიროა და ვფიქრობთ, რომ თუნდაც, პირველ ეტაპზე, სავაჭრო ცენტრებში, სადაც ყველაზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა ბოლო წელს და მიმდინარე წელსაც გვქონდა ამის მაგალითი, საჭიროა მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებები,“** — განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ.



# უეჭველია, რომ მიხო მეტად ფასეული მოქმედი აგენტია...

**„საქართველოს ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უკრაინული ტელეარხის ZIK-ის ეთერში გამოსვლისას განაცხადა, რომ აკრძალვის მიუხედავად, იგი უკრაინაში მაინც დაბრუნდება: „მე ვიპოვი გზას, თუ როგორ უნდა დავბრუნდე უკრაინაშიო“, — დარწმუნებით თქვა მიხომ. მაგრამ როგორც წარსულში ამბობდნენ ხოლმე — „ნება მომეცით, არ დაგიჯეროთ...“ — ასე იწყება უკრაინული გამოცემის, „Рабочая газета“-ს მიერ ევგენი კოროტკოვის ავტორობით გამოქვეყნებული სტატია, რომლის ქართულენოვან ვერსიას მცირე შემოკლებით საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გვთავაზობს:**



მე, როგორც უკრაინის საშუალოსტატისტიკური მოქალაქე, ჭეშმარიტად ანგარიშს ვუწევ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შესაძლებლობებს, მაგრამ როგორც სტაჟიანი ფილოლოგი, ვხვდები, თუ რა განსხვავებაა გამონათქვამებს — „მოვიდა-წავიდა“-სა და „მოიყვანეს-წაიყვანეს“ შორის.

თუმცაღა, თუ მიხეილ სააკაშვილის საჯაროდ ცნობილ ბიოგრაფიას გადავხედავთ და მხედველობაში ვიქონიებთ იმას, რომ არსებობს მისი არასაჯარო ბიოგრაფიაც, მაშინ მივხვდებით, რომ მიხო, უეჭველია, მეტად ფასეულ მოქმედ აგენტს წარმოადგენს.

თვითონ განსაჯეთ, ჩემო თანამემამულენო.

1992 წელს მიხომ წარჩინებით დაამთავრა ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. იმავე წელს მან საქართველოში გრანტი (ანუ ფული) მიიღო და სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტში შევიდა. თუ ვისგან მიიღო ფული, იქ გამოჩნდა: ერთი წლის შემდეგ, უკვე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სტიპენდიანტი მიხეილ სააკაშვილი სწავლის გასაგრძელებლად უკვე კოლუმბიის უნივერსიტეტში გაიგზავნა, სადაც 1994 წელს სამართლის მაგისტრის ხარისხი მიიღო. იგი სწავლობდა აგრეთვე ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში (აშშ), სტაჟირება გაიარა ფლორენციის (იტალია) ევროპული სამართლის აკადემიასა და ჰააგის (ჰოლანდია) საერთაშორისო სამართლის აკადემიაში. მუშაობდა ოსლოს (ნორვეგია) ადამიანის უფლებათა ინსტიტუტში, შემდეგ ნიუ-იორკის იურიდიულ ფირმაში Patterson, Belknap, Webb & Tyler, რომელიც დაკავებული იყო ამერიკული ნავთობგაზის პროექტების სამართლებრივი უზრუნველყოფით დსთ-ის ქვეყნებში. ხსენებული კომპანია საქართველოში ახალგაზრდული ორგანიზაციის „კმარას“ პარტნიორი გახდა, რომელიც სერბულმა ორგანიზაცია „ოპორა“-მ გაწრთვნა - პირველი ევროპული „ფერადი რევოლუციის“ ავტორმა. შემდეგ კი „ვარდების რევოლუცია“ მოხდა, მიხო პრეზიდენტად იქნა არჩეული.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ციტატა მიხოს წინა გამოსვლიდან: **„მე უკრაინაში დავბრუნდები, რადგანაც ლეგიტიმური უფლება მაქვს, იქ ვიცხოვრო. მე ასევე დავბრუნდები საქართველოშიც. ოლიგარქული მმართველობა უფრო ადრე დამთავრდება, ვიდრე ეს ვიღაც-ვიღაცებს წარმოუდგენიათ“,** — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა „რუსთავი-2“-ის ეთერში, — „არსებულ პირობებში აუცილებლად მიმაჩნია ორივე ქვეყანაში დავბრუნდე სიტუაციის შესაცვლელად“.

ცოტა რამ „არსებული პირობების“ შესახებ: როგორია პირობები უკრაინაში, ჩვენ ვიცით. აბა, ვნახოთ, როგორი პირობებია საქართველოში და რამ აიძულა მიხეილ სააკაშვილი, დასავლეთში გაძურწულიყო. გაგახსენებთ, რომ მიხომ საქართველოში პოლიტიკური კარიერა თავისი მეგობრის ზურაბ ჟვანიას მიწვევით 1995 წელს დაიწყო. 2005 წლის 3 თებერვალს კი პრემიერი ზურაბ ჟვანია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს გაზით გაგუდვის შედეგად გარდაიცვალა. საქართველოს პროკურატურა მისი იდუმალი დაღუპვის ფაქტს დღემდე იძიებს.

თავი დავანებოთ და ნუ ვილაპარაკებთ ტერიტორიულ დანაკარგებზე რუსეთთან 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, მიხო სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში. უფრო მეტი ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ქართველი უფლებადამცველების განცხადებით, **„როცა მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, საქართველოში მხოლოდ 5700 პატიმარი იყო, ერთი წლის შემდეგ 12 ათასი გახდა და 2012 წლისათვის მსჯავრდებულთა რაოდენობა 30 ათასამდე გაიზარდა. ციხეებში პატიმრებს აწამებდნენ და მათ არაადამიანურად ექცეოდნენ“.**

კორუფციასთან დაკავშირებით: **„მიხეილ სააკაშვილმა უმოკლეს ხანში მართლაც დაამარცხა კორუფცია, მაგრამ იმავდროულად მანვე უმკაცრესი მეთოდებით ფულის ყველა არალეგალური ნაკადი მხოლოდ თავის ორ-სამ სანდო პირისაკენ გადაამისამართა. მან მართლაც შექმნა ფირმის რეგისტრაციისა და ბიზნესის წარმოების იოლი მექანიზმი, მაგრამ იმავე ბიზნესს მხოლოდ თვითონ და მისი გუნდი აკონტროლებდა — სულ 3-4 ადამიანი“.**

ჩემი თვალსაზრისი: როგორც კი პეტრო ალექსეიჩი მიხვდა, თუ როგორი მგელი მიიწევს მისი საკვებური გეჯისაკენ, მიხო დაუყოვნებლივ გააფრინა ევროპაში. და იქიდან ძალიან საეჭვოა, უკან დაბრუნდეს.

„RG.KIEV“ (უკრაინა)

ⓞ ინფორმაცია თემაში

## მიმართა თუ არა საქართველომ ჰოლანდიას სააკაშვილის ექსტრადიციის მოთხოვნით?

საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი არ აკონკრეტებს, მიმართა თუ არა საქართველომ ჰოლანდიას მიხეილ სააკაშვილის ექსტრადიციის მოთხოვნით.

**„როგორც მიხეილ სააკაშვილის, ისე სხვა მსჯავრდებული პირების მიმართ, რომელთა მიმართაც ექსტრადიცია გვაქვს მოთხოვნილი, ჩვენი შუამდგომლობის ფარგლებში ვთანამშრომლობთ მოთხოვნის მიმღები ყველა სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებთან“,** — განაცხადა გაბიტაშვილმა.

# დაუდევრობა და უპასუხისმგებლობა – მუშის მტერი

## შრომის უსაფრთხოების არაეფექტური სტანდარტები

**შრომის უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დაუყოვნებლივი გადახედვის აუცილებლობა ქვეყანაში წლების განმავლობაში არსებობს, შესაბამისად საგანგაშოა საწარმოო შემთხვევების შედეგად სამუშაო ადგილებზე დაღუპულთა და დაშავებულთა საერთო მაჩვენებელიც, რაც სახელმწიფოს მიერ გატარებული შრომის პოლიტიკის არაეფექტურობაზე მიუთითებს, დასაქმებულთა უფლებების დარღვევის სისტემური პრობლემის ჩამოყალიბების უმთავრესი მიზანი, პირველ რიგში, სახელმწიფოს მხრიდან თუნდაც მოქმედი რეგულაციების თანმიმდევრული და ეფექტური დაცვის არარსებობაა და, მეორე მხრივ, არასაკმარისი ინსპექტირების მექანიზმებია.**

საქართველოს პარლამენტი იხილავს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონპროექტს უკვე მესამე მოსმენით, რომლის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების პრევენცია/შემცირება, შრომის პირობების დაცვა, სამწუხაროდ, პროექტი არ ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოების სამუშაო სივრცეში საზედამხედველო ორგანოს უპირობო დაშვების მექანიზმს, რაც არაეფექტურს ხდის კანონის აღსრულებას, არსებული პრობლემების დროულ გამოვლენას, მათ პრევენციას და უბედური შემთხვევების თავიდან აცილებას, კანონპროექტი საერთოდ არ ითვალისწინებს შრომითი პირობების კანონის შესაბამისად შესრულების კონტროლს/მონიტორინგს შრომის უსაფრთხოების ზოგიერთ სექტორში, სადაც რისკები აგრეთვე მაღალია, მაგალითად, წარმოდგენილი კანონპროექტით ენერგოდისტრიბუციის სფერო კონტროლის გარეშეა დარჩენილი, დასაქმებულებს ამ სფეროში უწევთ ელექტროენერგიის გადამცემ ხაზებთან მუშაობა, უდავოა, რომ მომეტებული საფრთხის შემცველი საქმიანობაა, თუმცა ჩამონათვალში არ ხვდება.

შრომის პოლიტიკის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გარდაქმნა, მათ შორის შრომის ინსპექტირების ეფექტური მექანიზმის შექმნა დღემდე რჩება საქართველოს პროფკავშირების, ევროპის საბჭოს და საერთაშორისო ორგანიზაციების მთავარ მოთხოვნად, ვფიქრობთ, საზოგადოების ჩართულობა აღნიშნულ პროცესში არასაკმარისია, საზოგადოებას უნდა ჰქონდეს მეტი სოლიდარობა მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, სახელმწიფოში არსებული უმუშევრობის მაჩვენებლის ფონის მიუხედავად, არსებული გამოწვევა პირდაპირ თუ ირიბად ყველას ეხება. დასაქმებულებს საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკის ფასად უხდებათ სამუშაოს შესრულება ყოველდღიურად, განსაკუთრებით ისეთ დარგებში, როგორიცაა ენერგეტიკა, მაღაროები, მშენებლობა და სხვ. **ჩვენი მონაცემებით ბოლო ათი წლის განმავლობაში სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების გამო დაიღუპა 488 დასაქმებული, ხოლო 780 დაშავდა.**

სახელმწიფომ ერთმნიშვნელოვნად უნდა დაიცვას თავისი მოქალაქეები, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში ყველა სხვა სექტორშიც დასაქმებულები, შესაბამისად, ინსპექტირების და სანქცირების მექანიზმების რადიკალურად განსხვავებული იმპლემენტაცია და არაერთგვაროვანი მიდგომა არათანმიმდევრული დამოკიდებულებაა.



**ამირან ზენაიშვილი,**
**საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი შრომით საკითხებში.**

# ოპოზიციური პარტიები ბიუჯეტიდან არ უნდა ფინანსდებოდნენ!



„ქართულმა ოცნებამ“ შეიძლება საპრეზიდენტო არჩევნები წააგოს“, — ეს განცხადება „რადიო კომერსანტის“ ეთერში პოლიტოლოგმა და ფსიქოლოგმა **რამაზ საყვარელიძემ** გააკეთა. „ორშაბათის თოქ-შოუში“ პოლიტოლოგმა ყურადღება იმ გამოწვევებზე გაამახვილა, რომლის წინაშეც მმართველი გუნდი აღმოჩნდა.

**„მმართველი პარტიისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა საპრეზიდენტო არჩევნებია, რადგან სხვა პარტიებმა რომ წააგონ, ისინი ამით არაფერს დაკარგავენ. ხელისუფლება კი, თუ არჩევნებს წააგებს, ეს არ იქნება უბრალოდ თანამდებობის წაგების თემა, ეს პატივმოყვარეობის და თავმოყვარეობის საკითხი იქნება. წაგების დიდი შანსია. მაგალითად, თვითმმართველობის არჩევნებზე კახი კალაძე რომ არ ყოფილიყო „ქართული ოცნების“ მერობის კანიდიდატი, მმართველი გუნდის დამარცხება შესაძლებელი იქნებოდა. მის პიროვნებას ცალკე ჰქონდა დიდი რეიტინგი, კალაძის იმიჯმა ითამაშა გადამწყვეტი როლი. მერობის კანდიდატად ნარმანია რომ ყოფილიყო წარდგენილი, „ქართული ოცნება“ არჩევნებს წააგებდა“,** — განაცხადა **რამაზ საყვარელიძემ.**

პოლიტოლოგის თქმით, ოპოზიციური პარტიები ბიუჯეტიდან არ უნდა ფინანსდებოდნენ. როგორც საყვარელიძე ამბობს, პარტიები იღებენ თანხებს, რის შემდეგაც არაფერს აკეთებენ.

**„დემოკრატიული ქვეყნების ერთი მოთხოვნა, საქართველოს ცუდ სამსახურს უწევს, რომელიც ოპოზიციის განვითარებისთვის ბიუჯედიტან დაფინანსებას გულისხმობს. პარტიები იღებენ თავიანთ თანხებს, რის შემდეგაც არაფერს აკეთებენ. იმ შემთხვევაში თუ დაფინანსება არ ექნებთ, მათ ექნებათ ორი ალტერნატივა — მშიერ რეჟიმზე დაჯდომა ან ბრძოლა გამარჯვებისთვის . ანუ შენ აიძულებ, რომ გაიმარჯვოს. თუ შენ ეტყვი, რომ 3%-იან ბარიერს თუ გადალახავ, ცხოვრება 4 წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი გექნება, 2-კაციანი პარტია გადალახავს 3 პროცენტს, გაიყოფენ ამ თანხას და იქნებიან ბედნიერები“,** — აღნიშნა რამაზ საყვარელიძემ.

ექსპერტმა უსაფრთხოების საკითხებში **ხათუნა ლაგაზიძე,** პოლიტიკურ ასპარეზზე ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ახალი ძალების არარსებობას ასახელებს.

**„პოლიტიკური რესურსების ვაკუუმის ხანას ვუწოდებდი დღევანდელ მდგომარეობას, ვგულისხმობ ადამიანურ რესურსს. ჩვენ რეალურად ვდგავართ გარდამავალ მიჯნაზე. როგორც ჩანს, ამ თაობამ ამოწურა საკუთარი პოლიტიკური რესურსი. ეს თანაბრად ეხება როგორც ხელისუფლებას, ასევე ოპოზიციას. მეორე მხრივ, ამ ვაკუუმს განაპირობებს ის რომ, ახალი პოლიტკური ძალების შემოდინება არ ხდება ქართულ პოლიტიკაში“,** — ამბობს ხათუნა ლაგაზიძე.

ექსპერტის აზრით, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები განსაკუთრებით მძიმე იქნება.

**„მმართველი გუნდის კანდიდატი, ფაქტობრივად, კონკურენტის გარეშე იქნება. პირველი მიზეზი ურესურსო ოპოზიციისგან გამომდინარეობს, მეორე მიზეზი არის ის, რომ ოპოზიცია ადამიანური რესურების დეფიციტს განიცდის, იმასაც ვერ ახერხებს რომ გაერთიანდეს, ძალიან ჩაშლილი და დანაწევრებული დგას საპრეზიდენტო არჩევნების გამოწვევის წინაშე. ამის გამო მე არსებით გარდატეხას არ ველოდები 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, სწორედ ამ ვითარებაში ეს წელი პოლიტიკურად რთული იქნება“,** — განაცხადა ხათუნა ლაგაზიძემ.

HTTP://COMMERSANT.GE/

# სახელისუფლებო ორგანოში დაუმსახურებელ პრემიებს და დანამატებს იღებენ...

**„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ სამდივნოს მიერ გამოქვეყნებულ „კორუფციის აღქმის ინდექსის“ 2017 წლის კვლევაში საქართველოს 56 ქულა აქვს და 180 ქვეყანას შორის 46-ე ადგილზეა.**

გასულ წელთან შედარებით, საქართველოს სარეიტინგო ქულა 1 საფეხურით, ხოლო პოზიცია კი 2-ით გაუარესდა.

როგორც აღნიშნულ მონაცემთან დაკავშირებით „კომერსანტთან“ ახალი ეკონომიკური სკოლის პრეზიდენტი **პაატა შეშელიძე** აცხადებს, შედეგების გაუარესება არ უნდა გაგვიკვირდეს, რადგან დღეს კორუფციის ბევრ მაგალითს ვაწყდებით.

„მოსახლეობას რადგან აქვს კორუფციის ინდექსთან დაკავშირებით მსგავსი აღქმა, ალბათ მათ ამის საფუძველიც გააჩნია. ჩვენ გვაქვს პრაქტიკა და საინფორმაციო წყაროები, რომლებიც გამოცდილებას გვიზიარებენ და ეს ფაქტი უსაფუძვლო არ უნდა იყოს.



ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ კორუფციის ბევრ მაგალითს ვაწყდებით. მაგალითად, სახელისუფლებო ორგანოში დაუმსახურებელ პრემიებს და დანამატებს იღებენ, ეს შეფასებაა და ამ ყველაფერს ხალხი კორუფციად აღიქვამს. **მაგალითად ამ ეტაპზე მერიაში მიმდინარე პროცესები ამაზე მიუთითებს და ფაქტს თავადაც არ მალავენ“,** — განმარტა შეშელიძემ.

„საქართველოს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ ვიცე-პრეზიდენტი **პაატა ბაირახტარი** კორუფციის აღქმის ინდექსის გაუარესებულ მდგომარეობას საფუძვლიანად მიიჩნევს და აცხადებს, რომ ქვეყანაში კორუფცია არსებობს.

„რადგან კორუფციის ოფიციალური მონაცემი არ გვაქვს მხოლოდ საგამოძიებო უწყებების მიერ გამოვლენილი ფაქტების შედეგად შეგვიძლია ამ მიმართულებით ორიენტაციის აღება. ფაქტები, რომელსაც სამართალდამცავები ვერ ავლენენ, რეალურად ხომ არსებობს?

**საზოგადოებაში ლეგიტიმურად ჩნდება ის ეჭვები და მოსაზრება, რომელიც გარკვეულწილად შესაძლოა, გადაჭარბებული იყოს, თუმცა არა უსაფუძვლო. მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გარკვეული კორუფციის ნიშნები, როგორც საშუალო ისე ქვედა რგოლეში იკვეთება, დასკვნა თავად საგამოძიებო უწყებებსაც აქვს დადებული“,** — განაცხადა ბაირახტარმა.

კვლევის მიხედვით, 2017 წლის ინდექსის თანახმად, კორუფციის აღქმის დონე ყველაზე დაბალია ახალ ზელანდიაში (89 ქულა), დანიაში (88 ქულა) და ფინეთში (85 ქულა). ინდექსი ყველაზე მაღალი — სომალიშია (9 ქულა).

კორუფციის აღქმის ინდექსი, რომელსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ სამდივნო 1995 წლიდან ყოველწლიურად აქვეყნებს, ემყარება ექსპერტების მოსაზრებებს საჯარო სექტორში კორუფციის დონის შესახებ.

კორუფციის აღქმის ინდექსი სხვადასხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევების საფუძველზე მზადდება, რომელთაგან თითოეული სხვადასხვა ქვეყანაში კორუფციის მხრივ არსებული მდგომარეობის შეფასებას შეიცავს.

კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველომ 2012 წელს 52 ქულა მიიღო (51-ე ადგილი), 2013 წელს — 49 ქულა (55-ე ადგილი), 2014 წელს — 52 ქულა (50-ე ადგილი), 2015 წელს — 52 ქულა (48 ადგილი).

**ლიკა გურაბანიძე**



# სამარშრუტო რებუსი - ვის სჭირდება ნაღდი ფულით გადახდა

**ყვითელი მიკროავტობუსების გარშემო ახალი პრობლემა გაჩნდა. მძღოლები მგზავრებს ნაღდი ფულით გადახდას სთხოვენ. ამის მიზეზი დღიური გეგმის შეუსრულებლობაა. მას შემდეგ რაც მგზავრებმა ბარათით გადახდას მოუხშირეს სამარშრუტო ტაქსების მძღოლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ. მგზავრთა უმეტესობა ადასტურებს, რომ ასეთი რეალობის წინაშე ბოლო პერიოდში ხშირად დგებიან. ამიტომ მიკროავტობუსებით გადაადგილება ნერვიულობის ფასად უჯდებათ.**

დროდადრო მძღოლებსა და ყვითელი „მარშრუტკების“ მგზავრებს შორის ვითარება იძაბება. ზაფხულში დაპირისპირება კონდინციონერის ჩართვა-გამორთვას უკავშირდება, პიკის საათებში გადატვირთულ ტრანსპორტს, ახლა კი ნაღდი ფულით ანგარიშსწორებას. პრობლემების სათავე კი კომპანია „თბილისის მიკროავტობუსია“, რომელსაც ერთნაირად ადანაშაულებენ მძღოლებიც და მგზავრებიც.

მძღოლებმა ასევე განმარტეს, რომ სამარშრუტო ტაქსების მფლობელი კომპანია არც სატრანსპორტო საშუალების საჭირო რაოდენობის საწვავით მომარაგებას უზრუნველყოფს და მათ შესაბამისი თანხის გადახდა საკუთარი სახსრებით უწევთ. რამდენადაც მათ მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილ თანხასთან აქვთ წვდომა, ყოველდღიურ გეგმის შესრულებას ვერ ახერხებენ.

**„პლასტიკური ბარათით გადახდილი თანხა პირდაპირ „თბილისის მიკროავტობუსის“ ბალანსზე ირიცხება, ხოლო ყოველდღიური გადასახადი, რომელიც 20 ლარიდან 100 ლარამდე მერყეობს, ჩვენთვის მაინც გადასახდელი რჩება. გამოდის, რომ ეს გადასახადი მთელი დღის განმავლობაში უნდა მოვაგროვოთ. თუ ნაღდი ფულით არ გადაიხადეს მგზავრებმა, თანხა როგორ შევაგროვოთ?“** — ეს არის მძღოლების საერთო პოზიცია.

„თბილისის მიკროავტობუსში“ აცხადებენ, რომ აღნიშნული ხარჯები გაწერილია მძღოლთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებით და ამის შესახებაც მძღოლებს ინფორმაცია აქვთ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მიკროავტობუსის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა **ნათია მიქიაშვილმა** განუცხადა, კომპანიას დარღვევებთან დაკავშირებით მკაცრი რეაგირება აქვს.

„პირველივე ჯერზე წყდება მძღოლთან ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ მგზავრს ეუბნება, რომ ტერმინალი არ გამოიყენოს და ნაღდი ფულით გადაიხადოს. ასევე, ჩვენი მონიტორინგის სამსახური ყოველდღიურად იღებს ინფორმაციას ფარეხის ხელმძღვანელობისგან, რამდენად გამართულად მუშაობს მიკროავტობუსში ტერმინალი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის გაფუჭებულია და მძღოლმა არ შეატყობინა ფარეხის ხელმძღვანელობას, ავტომატურად წყდება მძღოლთან ხელშეკრულება.

**რაც შეეხება კონდიცირების სისტემას, თუ გამორთული აქვს მძღოლს ზაფხულის პერიოდში, პირველ შემთხვევაში 10 დღით ეკრძალება ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა, განმეორების შემთხვევაში 1 თვით, ხოლო მესამე შემთხვევის დაფიქსირებისას ხელშეკრულებას ვუწყვეტთ. ასევე ჯარიმები და სანქციებია სიგარეტის მოწევასა და მომხმარებელთან კონფლიქტური სიტუაციის შექმნაზე. ამის შესახებ მძღოლები ინფორმირებული არიან“,** — განაცხადა მიქიაშვილმა.

**ბექა დანელია**

◎ კვალი დროში

# ახალი რუსთავის თანატოლი



## გზა – სიკეთით განვლილი

**70 წელი ის ასაკია, როდესაც ჯერ კიდევ ჭარმაგად გთვლიან, როდესაც, თუ სიკეთის გზით გივლია, შეგიძლია უკან ამაყად მოიხედო, თუ ჯანსაღად გიცხოვრია, იმედით გაიხედო წინ და შთამომავალთ გაუკვალო ჭირ-ვარამით მოკირწყლული ცხოვრების გზა.**

ასეთები ძალიან ცოტანი არიან, თუმცა მხნედ გამოიყურებიან საკუთარი საუკუნის ნათელ ჰორიზონტს შეთამამებულნი.

რომ არა ისინი, სიცოცხლეც არ ეღირებოდა.

ერთ ასეთ ამაგდარს ამ დღეებში რუსთავმა გადაუხადა ღირსეული იუბილე, ეს კაცი, მიუხედავად შვიდი ათეული წლის დაუღალავი გარჯისა, კვლავაც ქედუხრელად დგას მამულისა და ერის საგუშაგოზე.

და კიდევ ერთი დაუვიწყარი „დეტალი“ – როცა ამ კაცს შეუძლია თქვას, ჩემი ქალაქი ჩემი თანატოლიაო!

დიახ, წელს რუსთავი იუბილარია, 70 წლისთავს ზეიმობს. იგი 1948 წლის 19 იანვარს იკურთხა ქალაქად, უდაბნოდ ქცეული ნაქალაქარი თავის ერს აუღორძინდა ინდუსტრიულ ბურჯად, აღმოსავლეთის კარიბჭის გასაძლიერებლად და განსამტკიცებლად.

იმავე წელს დაიბადა სერგო ტოპრაკაშვილი, ერთი ნაღდი, თავისი ქვეყნისა და ერისთვის ალალად, უანგაროდ მოღვაწე ქართველი კაცის ოჯახში.

მცხეთელი ახალგაზრდა მამულიშვილი დიმიტრი ტოპრაკაშვილი, როგორც ეს მაშინ ხდებოდა, ახალმშენებარე რუსთავს მესაძირკვლედ შემოუერთდა ახლად შექმნილი ოჯახით, მეტალურგთა რიგებში ჩადგა და ახალი ქალაქის მოჭირნახულედ დამკვიდრდა.

რუსთავის ერთ-ერთი საუკეთესო სკოლა სერგომ რომ დაამთავრა, იმ წელს მეათე-მეთერთმეტე კლასების ერთდროულად გამოშვება დაემთხვა, მიუხედავად აბიტურიენტთა სიმრავლისა, ნიჭიერი ყმაწვილი პირველსავე წელს მოეწყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რუსთავის საღამოს სწავლების ფილიალში და აქედანვე დაიწყო შრომითი საქმიანობა ჯერ რიგით მუშად, მერე სწავლა და შრომაშერწყმულმა იარა დიდი ცხოვრების გზაზე.

მეც აქ გადავეყარე. იმ ხანად, საქართველოს ტელე-რადიომაუწყებლობის ქვემო ქართლის ზონის კორესპონდენტს წარმომიდგინეს მოწინავედ, შრომაში წარჩინებულად და უმალ „გამოვაცხვე“ რეპორტაჟი, ასე გავაცანი იმ დროის ადამიანებს გამრჯე, ახალგაზრდა კაცი, ახალი რუსთავის წარჩინებული მშენებელი.

იმ წლებში სერგო ტოპრაკაშვილი უკვე სამეცნიერო-საპროექტო ინსტიტუტ „ავტომატმრეწვში“ უფროს ინჟინრად მუშაობდა, შემოქმედებითი საქმიანობის პარალელურად ახალგაზრდული ორგანიზაციის, ანუ კომკავშირის კომიტეტის მდივნადაც აირჩიეს, აქაც შემოქმედის ნიჭი იყო წარმმართველი და ასე დაიწყო მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა.

იმხანად რუსთავს ახალგაზრდობის ქალაქს ეძახდნენ, ასეც იყო, მეტალურგთა ხუთიათასიანი ლაშქრით, ჭაბუკი მშენებლებით ქალაქი ხომ დღითი დღე ფართოვდებოდა, იზრდებოდა, ვითარდებოდა, სერგოსაც საკუთარი თაობის წამყვანი სპეციალისტის როლი ეჭირა. ამადაც უწევდა სხვადასხვა დარგში მოღვაწეობა. ქალაქის მესვეურები, სადაც განსაკუთრებით დასჭირდებოდათ, იქ მიავლენდნენ. მალე რუსთავს კიდევ ერთი ქარხანა გიგანტი თუჯსამსხმელო „ცენტროლიტის“ დიდი კოლექტივი შეემატა და იქ პარტიული კომიტეტის მდივნად დააწინაურეს. მერე სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის ინსპექტორად გადაიყვანეს... არც აქ დაახანეს და პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მრეწველობის განყოფილებაში ფრიად საპასუხისმგებლო უბანი ჩააბარეს.

ჩემი ხანგრძლივი ჟურნალისტური მოღვაწეობის მანძილზე იშვიათად თუ შევხვედრივარ ისეთ პიროვნებას, ასე მრავალფეროვანი სამსახურებრივი მოღვაწის ღირსეული გზა გაევლოს და სადღაც ცდუნებას არ აჰყოლოდეს, ხელი არ წასცდენოდეს და მხოლოდ ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ ეზრუნოს.

1982 წელს სერგო უკვე რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, იმხანად ქალაქ ფოთის საინტერესო ექსპერიმენტს რუსთავში ნერგავს და ქალაქის სახალისო მეურნეობა ახალ რელსებზე გადაჰყავს, რასაც საკუთარი შემოქმედებითა და საქმიანი მიდგომით გაამრავალფეროვნებს. მერე იყო და აღმასკომი გამგეობად გარდაიქმნა. სერგო აქაც მოადგილედ ინიშნება, ხელმძღვანელობს სამრეწველო, სატრანსპორტო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო სამსახურებს.

იმავე წელს მოსკოვში მიავლენენ, იქ იმდენი ივაჟკაცა, ცენტრს რამდენიმე მილიონი მანეთის სამშენებლო ობიექტების დაფინანსება „გამოსცინცლა“ და ამ თანხით რუსთავს 100 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, ორი საშუალო სკოლა, სამი საბავშვო ბაღი და სხვა სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტი შემატა.

აღმასკომში მუშაობის წლებში ცნობილ მოქანდაკე ჯუმბერ ჯიქიასთან ერთად ჩამოაყალიბა რუსთავის ქანდაკების ცენტრი, რითიც საფუძველი ჩაეყარა საერთაშორისო სიმპოზიუმებს, გამოფენებს, რომლებშიც იაპონელი, გერმანელი, ამერიკელი, ავსტრალიელი და სხვა ქვეყნების წამყვანი მოქანდაკეები მონაწილეობდნენ.

ბევრი კარგის თქმა შეიძლება იმ წლებზე, როდესაც სერგო ტოპრაკაშვილი საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან შექმნილი მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორად დაინიშნა. მისი თავკაცობით ხორციელდებოდა სამრეწველო საწარმოთა რეგულაციის სახელმწიფო პოლიტიკა. აკი ამადაც ატარებს ღირსების ორდენს.

2008 წელს ბელგიაში მიავლინეს, როგორც საქართველოს საგანგებო შტაბის წევრი. ბრიუსელში, ნატოს შტაბბინაში მონაწილეობდა ევროატლანტიკურ პარტნიორთა საბჭოს მუშაობაში, საგულისხმოა ისიც, რომ სააგენტოში მისი მუშაობის წლებში ხუთი მინისტრი და 6 თავმჯდომარე გამოიცვალა, ყველა ახალმოსულს თავისი კაცი მოჰყავდა, მხოლოდ სერგო იყო შეუცვლელი, რამეთუ მისი ცოდნისა და გამოცდილების მქონეს სხვას ვერავის პოულობდნენ. პროფესიული და პირადი კეთილშობილებაც ხომ უდიდესი განძია.

გადის წლები.

ეს ამაგდარი კაცი ბოლო ხანს შპს „ენგურჰესში“ კორპორაციული მართვის მენეჯერად მოღვაწეობს.

მეუღლეც, ქალბატონი ნაირა ქვათაძე მართლაც დიდებული ქალბატონია, ორი ვაჟისა და ხუთი შვილიშვილის დედა და ბებია, ბატონ სერგოსთან ერთად,უკვე 44-წლიანი თანაცხოვრებით განმტკიცებულ-ამაღლებული.

შვილები, ორი ვაჟკაცი, თავთავიანთი ცოლ-შვილით უცხოეთში არიან, წარმატებულნი ფრიად, მაგრამ სამშობლოდან შორს.

* * *

**იუბილართან შეხვედრა, ჭეშმარიტად ადამიანური გზით განვლილი ცხოვრება, მართლაც მაღალ დონეზე წარიმართა, აღსანიშნავია ისიც, რომ აქ იყვნენ ენგურჰესელები, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის, გამოცდილი ენერგეტიკოსის ლევან მებონიას მეთაურობით.**

იუბილარის მისალოცად მოვიდნენ პარლამენტარი პაატა მხეიძე, რუსთავის მერი ირაკლი ტაბაღუა, ქალაქისა და რესპუბლიკის საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები, ვეტერანი რუსთაველები, სერგო ტოპრაკაშვილის თანამესაგრენი...



მხნეობა და ჯანმრთელობა ვუსურვოთ სიკეთის მთესველ კაცს!

**გივი ჯახუა**

◎ დედაქალაქი

# რათა სავალი გზისა გაუადვილდეთ...

**შეზღუდული უნარის მქონე პირთა საზოგადოებრივ სივრცეში გადაადგილების ხელშეწყობაზე ზრუნვა თბილისში ბოლო დროს საკმაოდ შესამჩნევია.**

გზის სავალი ნაწილიდან ახლად შეკეთებულ ტროტუარებზე საგანგებოდ კეთდება პანდუსები ეტლით მოსიარულეთათვის, სწორედ ამ მიზნისთვისაა ადაპტირებული ასასვლელ-ჩასასვლელები ახალ საქალაქო ავტობუსებშიც. არაერთ საფეხმავლო კიბეზე კი, პანდუსებთან ერთად, შუაში ლითონის მოაჯირები კეთდება, მაგალითად, ისეთები, როგორიც მეტროსადგურ „თავისუფლების მოედნისა“ და ახალი სავაჭრო ცენტრის „გალერია თბილისის“ მიმდებარედ ასასვლელზეა დამონტაჟებული (იხ. ფოტო). ასეთი მოაჯირები საკმაოდ მოსახერხებელია ასაკოვანი ადამიანებისთვის, ასევე მათთვის, ვისაც რამდენადმე მძიმე ტვირთი აქვთ. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ხალხმრავალ ადგილებში ენიჭება, ვთქვათ ისეთში, როგორიც ბორჯომის ვაგზლის კიბეა, სადაც დღეში ათასობით ბარგით დამძიმებული ადამიანი მოძრაობს.

ერთი ასეთი მოაჯირის დამონტაჟება ამ ადგილას რაიმე განსაკუთრებულ ხარჯს არ საჭიროებს, მადლიერი ადამიანი კი რაიონის გამგეობისა თუ დედაქალაქის მერიისა, გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე დახარჯული თანხა.

**ნინო ალექსანდრია**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო**





კიბე „გალერია თბილისთან“; კიბე ბორჯომის ვაგზალთან

# რა გვრჩება ტაქსიში?

***საქართველოში მგზავრებს ტაქსიში ყველაზე ხშირად ტელეფონები, საფულეები და ხელთათმანები რჩებათ. Yandex.Taxi-ს ინფორმაციით, ტაქსიში დარჩენილ უჩვეულო ნაპოვნ ნივთთა შორისაა: სათლი, იხვი (არ იყო მითითებული რა მდგომარეობაში), ტკბილი ღვეზელებით სავსე კალათა, საბურღი ინსტრუმენტები, ყელსაბამი და ქათამი ტაფაზე.***

**ახალი წლის ღამეს მათ დაემატა მუსიკალური დინამიკები, ტორტი „ნაპოლეონი“ და რამდენიმე შეფუთული საჩუქარი.**



**„საქართველოს ტაქსის მძღოლები სხვებზე ხშირად პოულობენ მანქანაში წამლებს და კომპიუტერებს. საქართველოში უფრო ხშირად, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ავიწყდებათ ფოტოკამერები დამტენ მოწყობილობებთან ერთად, სამგზავრო ჩანთები და ჩემოდნები – ალბათ, ტურისტები თვალს ვერ წყვეტენ ფანჯარას, რომლიდანაც ასეთი ლამაზი პეიზაჟები იშლება. არსებობენ არასტანდარტული მგზავრებიც – ერთ ახალგაზრდას თბილისში დარჩა ქუდი, სჭვალსახრახნი და ნახატი ერთდროულად. მაგრამ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში არასდროს არ დავიწყებიათ ქოლგები, ღვინის ბოთლები და საქორწილო ბეჭდები.**

**როგორც ჩანს, დაკარგულ ნივთებზე ყველაზე მეტად ბავშვები დარდობენ. მხოლოდ ბოლო თვის განმავლობაში Yandex.Taxi-ს მხარდაჭერის სამსახურს სთხოვეს ეპოვათ 12 სათამაშო, ჩუპა-ჩუპსი და შოკოლადის კვერცხი“, აღნიშნულია Yandex.Taxi-ს მიერ გამოქვეყნებულ მასალაში.**

# ნუ მოვსპობთ XXI საუკუნის

**„თქმა მართლისა სამართლისა,
ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“
რუსთაველი**

**საყოველთაოდ ცნობილია, რომ თანამედროვე ტექნიკური პროგრესი მაღალი ტემპერატურების, წნევების, სიჩქარეების და ქიმიურად აგრესიული არეების გამოყენებას ეფუძნება. ასეთ ექსტრემალურ პირობებში მუშაობას შეიძლება გაუძლოს ძალიან ცოტა სახეობის მასალამ და მათ შორის პირველ ადგილზეა კერამიკა. კერამიკა ესაა ყველასათვის კარგად ცნობილი თიხის წითელი სამშენებლო აგური, ქაშანურისა და ფაიფურის სხვადასხვა დანიშნულების საოჯახო ჭურჭელი, საეკლესიო და საერო მხატვრული ნაკეთობები, ტერაკოტისა და მაიოლიკის ნაკეთობები, კერამოგრანიტი და ა.შ.**

მაგრამ კერამიკაა აგრეთვე ცეცხლგამძლე მასალები, რითიც აგებულია საბრძმედე და მარტენის მეტალურგიული ღუმელები, სარაკეტო ძრავების საქშენები, ელექტროგადამცემი ხაზების იზოლატორები, ბირთვული რეაქტორის სათბობი ღეროები, რადიოკონდენსატორები, ელექტრონიკაში, რადიოტექნიკაში და კვანტურ ოპტიკაში გამოყენებული დეტალები, საჭრელი ინსტრუმენტები, ზესალი და ზეელექტროგამტარი მასალები, გამჭვირვალე კერამიკა, სეგნეტო და პიეზოელექტრული მასალები, ფეროშპინელები, კომპოზიციური მასალები საავიაციო, სარაკეტო და კოსმოსური დანადგარებში გამოყენებული დეტალები, ორთოპედიული და სტომატოლოგიური ნაკეთობები, ჩვენ მიერ შექმნილი მომინანქრების ახალი ტექნიკა და მრავალი სხვა. სწორედ ამიტომ უწოდეს ამერიკელმა მეცნიერებმა კერამიკას „სამზარეულოდან კოსმოსამდე“.

ჭეშმარიტად შეიძლება უკვდავ-უბერებელი ვუწოდოთ კერამიკას, მის ასეულობით სახეობას, რომელთა შექმნა დაიწყო კაცობრიობის ცივილიზაციის გარიჟრაჟზე (270 საუკუნის წინათ), არათუ მცირდება ანდა კარგავს მნიშვნელობას, არამედ პირიქით – სისტემატურად იზრდება და უმჯობესდება, განუწყვეტლივ ფართოვდება კერამიკის გამოყენების სფეროები, იხვეწება მათი საექსპლუატაციო თვისებები, იქმნება ახალ სახეობათა კერამიკა, რომელთა სინთეზი უკავშირდება არატრადიციული ნივთიერებების და დღემდე უცნობი ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებას და ეს არ არის შემთხვევითი: მეცნიერების, ახალი ტექნიკისა და მრეწველობის ვერც ერთი მნიშვნელოვანი დარგი გვერდს ვერ აუვლის კერამიკულ მასალებს.

იაპონიის 100 ლიდერი ფირმის პრეზიდენტებისა და სპეციალისტების ერთობლივი დასკვნით, XXI საუკუნეში ხუთი ძირითადი პრიორიტეტული მეცნიერული კვლევების მიმართულებებში, როგორიცაა დიდი ინტეგრალური სქემები, ბიოტექნოლოგია, ბოჭკოვანი ოპტიკა და რობოტოტექნიკა, დასახელებულია კერამიკა. ამიტომ „Чарльз Риверз Асс. Инк“ სპეციალისტების დასკვნით, რომელთაც განსაზღვრეს ახალი კერამიკის როლი თანამედროვე მსოფლიოში (კვლევა მიმდინარეობდა აშშ სტანდარტების ნაციონალურ ბიუროსთან ერთად) დაადგინეს – ის, ვინც დაიპყრობს ტექნიკური კერამიკის ბაზარს, საერთოდ დაიპყრობს მსოფლიო ბაზარს!

მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიმართულების დარგებში გამოსაყენებლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფუნქციონალურ და კომპოზიციურ მასალებს, რომლებშიც ერთმანეთს ერწყმის ლითონებისათვის დამახასიათებელი პლასტიკურობა და მაღალი მექანიკური თვისებები, ორგანული პოლიმერების სიმსუბუქე და ელექტროსაიზოლაციო თვისებები, კერამიკის ცეცხლგამძლეობა და ქიმიური მდგრადობა. სასიხარულოა, რომ თბილისში იწყება ასეთი მასალების წარმოება, მონაწილეობას მივიღებთ წარმატებულ სტუდენტებთან ერთად.

კერამიკა ის აღარ არის, რაც ერთი საუკუნის თუნდ რამდენიმე ათეული წლის წინათ იყო, ამიტომ ვიძლევით ჩვენს განმარტებას: „კერამიკა არის პოლიკრისტალური (იშვიათ შემთხვევაში მონოკრისტალური) კონსოლიდირებული მასალა, მიღებული პერიოდული სისტემის III-IV ჯგუფის არალითონური ელემენტებისა და (ან) ნებისმიერი ლითონების ერთმანეთთან კავშირის საფუძველზე, რომლის სინთეზი დამყარებულია მასაგადატანის თბოფიზიკურ პროცესებზე, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს შემადგენელი ნაწილების მტკიცე სტრუქტურას.

საქართველოს მდიდარ წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან მჭიდროდაა დაკავშირებული ვაზი, ვენახი, ქვევრი, ღვინო. ნიშანდობლივია, რომ ქრისტიანულ სამყაროში საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ვაზის ლერწებისგან შეკრული ჯვრით ეზიარა ქრისტიანულ სარწმუნოებას. ვაზის დიდ სიყვარულს მხოლოდ ქართველი ადამიანი ათანაბრებს შვილის სიყვარულთან, რასაც ადასტურებს ჭეშმარიტი გამოთქმა – ვაზო, შვილივით ნაზარდო; ასევე მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის კალენდარში შემოდგომის ის დრო, როცა ყურძენი იკრიფება, ღვინობისთვედ არ იწოდება. რაც შეეხება ვაზის ნაყოფისგან მიღებულ ღვინოს აქვს საერთო ძირი მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე Wine (ინგლისური), Vin (ფრანგული), Wein (გერმანული), Winum (ლათინური), Vayin (ებრაული), სომხური „ღვინი“, არაბული „ვაინუმ“, რუსული „ვინო“ და ა.შ. მკვლევარების აზრით და საერთაშორისო აღიარებით, საქართველოში 500-ზე მეტი ვაზის ჯიშია აღნუსხული.

საქართველო რომ ღვინის აკვანი და ქვევრში დაყენების ქართულ ღვინოს 8000-წლიანი უწყვეტი ისტორია აქვს, საბოლოოდ 2017 წელს დადასტურდა საერთაშორისო აღიარებით – ბრიტანული BBC და ამერიკული NEW York Times-ში გამოქვეყნებული მასალებით. ბიბისის ინფორმაციით, ქვევრის ნაწილები თბილისიდან სამხრეთით სხვადასხვა ადგილას იპოვეს, ქვევრის რამდენიმე ჭურჭელზე ამოტვიფრულია მოცეკვავე კაცის და ყურძნის ფრაგმენტები. ბოლო აღმოჩენის შესახებ ჟურნალი Procceedings of the National Academy of sciences აქვეყნებს: **„მკვლევარების ინფორმაციით ქვევრები ორ ნეოლითის ხანის სოფელში აღმოაჩინეს, გადაჭრილ გორასა და შულავერის გორაზე თბილისიდან 50 კმ დაშორებით. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტიზე დალექილი ღვინის მჟავა (დნმ-ის ანალიზი ჩატარდა ისრაელში) ცხადყოფს, რომ მეღვინეობა საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ქვემო ქართლში იღებს სათავეს, სწორედ იქ, სადაც პირველი ევროპელების ნაშთები აღმოჩნდა“.**



აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობა ის, რომ გასული წლის ივლის-ნოემბერში ბორდომ, საფრანგეთის ღვინის ქალაქმა, სადაც ყოველწლიურად მილიონობით ტურისტი ჩადის, მოეწყო ქართული ღვინის გამოფენა სახელწოდებით **„საქართველო – მეღვინეობის აკვანი“**, რომელიც 4-5 თვეში 100000-მდე დამთვალიერებელმა მოინახულა. მუზეუმის წინ დაიდგა და მუდმივი ბინა დაიდო საქართველოში დამზადებულმა კერამიკულმა ქვევრმა, როგორც 2013 წლის 4 დეკემბერს იუნესკოს მიერ აღიარებულმა მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლმა.

საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ღვინო მხოლოდ ქართული აბორიგენული ვაზის ჯიშებისგან მზადდება და შენარჩუნებულია ერთადერთი ტექნოლოგია ღვინის კახური წესით ქვევრში დაყენებისა. ვინც კარგად იცნობს კერამიკულ წარმოებას, დამეთანხმება, რომ ქვევრის დამზადება ძალიან რთული, შრომატევადი, ხელოვნებად ქცეული ნაკეთობაა და მისი ხარისხი მრავალ ფაქტორთანაა დაკავშირებული და ასევე მეთუნის კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული, ამ საკითხებზე არაერთხელ განმიცხადებია პრესაში, ტელევიზიაში და სამეცნიერო შრომებში.

მაგრამ არ შეიძლება, კვლავ არ აღვნიშნოთ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი. ჩვენ მიერ წარმოებულ ქვევრებს იმისდა მიხედვით, თუ როგორი ტექნოლოგიური რეჟიმით ვამზადებთ მის შიდა ზედაპირს, უყალიბდება უნიკალური ფოროვანი სტრუქტურა 2 ნანომეტრიდან 10 მიკრომეტრამდე (უფლებას ვიტოვებ არ გავშიფრო). სწორედ ქვევრის ნანოფორებს შეუძლია გარდაქმნან 100%-ით ნატურალური ყურძნის წვენში არსებული 85% წყლის ჩვეულებრივი სტრუქტურა სამკურნალო (გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და ავთვისებიანი სიმსივნეების ჩათვლით) თვისებების მქონე წყლის 4-ეული სტრუქტურის მქონე წყლად, რომლის აღმომჩენია ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფ. პოლაკი. ალავერდის სამონასტრო მარანში მიღებული ქვევრის ღვინო შესწავლილი იქნება იაპონიის კობეს უნივერსიტეტის „Aquaphotomies“-ის ცენტრში. მხოლოდ მათ შეუძლიათ განსაზღვრონ 4-ეული ფაზის მქონე სტრუქტურა. კვლევებში ჩართულია ღრმად განსწავლული მეცნიერი ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. თენგიზ ჯალიაშვილი, რომელსაც დიდ მადლობას მოვახსენებ. კვლევას ვანიჭებთ დიდ მნიშვნელობას, ვინაიდან ქვევრის ღვინო შეიძლება გავხადოთ, როგორც სამკურნალო და კვების პროდუქტი. დარწმუნებული ვართ, რომ ამ მოცემულ შემთხვევაშიც შეიძლება გამართლდეს გამოჩენილი ფიზიკოსის, ნობელის პრემიის ლაურეატის ვლ. გინზბურგის სიტყვები, როცა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა ამერიკელი მეცნიერ-ფიზიკოსების, ნობელის პრემიის ლაურეატების დ. ბედნორცისა და კ. მიულერის მიერ 1986 წელს ოქსიდური კერამიკისაგან მაღალტემპერატურული ზეელექტროგამტარი მასალის მიღება: **„საინტერესოა, რომ ეს არ არის ერთი შემთხვევა, როცა კერამიკა გახდა პროგრესის „სასხლეტი კაჟი“. 27000 წლის წინათ კაცობრიობამ თავისი არსებობის ისტორიაში მოახდინა ყველაზე დიდი ტექნიკური გადატრიალება – შექმნა ხელოვნური მასალები და ეს იყო სწორედ კერამიკა, მიღებული თიხის შეცხობით“**. კომენტარები ზედმეტია!

გერმანულმა ფირმა „სანო ჰოლდინგმა“, რომლის ოფისი ქ. მიუნხენშია, 2015 წლის ივლისში ქართველ პარტნიორთან, დოქტორ სოფიო სანაძესთან ერთად საქართველოში დააფუძნა ფირმა **„სანო-ცხოველთა თანამედროვე ჯანსაღი კვება“**. ფირმის ერთ-ერთი მუხლია: „მნიშვნელოვანი მიმართულება თანამედროვე ვეტერინარულ მედიცინაში წარმოადგენს ადგილობრივი ბუნებრივი, ბიოლოგიურად აქტიური დანამატების გამოყენება ცხოველთა კომბინირებულ საკვებში. ასეთი დანამატებია ალუმოსილიკატების ფართო ჯგუფი მინერალების მონტმორილონიტისა და კლინოპტილიტის შემცველობით. მათი გამოყენება აუმჯობესებს ცხოველის პროფილაქტიკურ-სამკურნალო პირობას და ზრდის პროდუქტის სამრეწველო პროდიქტიულობას. განზრახულია ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიხსნას სპეციალობა **„მეცხოველეობის და მეფრინველეობის კომბინირებული საკვების წარმოების ტექნოლოგია“**. ასევე განზრახულია საქართველოში აშენდეს კომბინირებული საკვების მწარმოებელი ქარხანა., რომლის პროდუქციას გამოიყენებს საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და სხვა რეგიონებიც.

აღნიშნული დანამატები დიდი რაოდენობითაა საქართველოში, შესწავლილია მათი სანიტარიულ-ჰიგიენური და სამკურნალო პროფილაქტიკური თვისებები. ბენტონიტური თიხების სამკურნალო თვისებები ადამიანმა ისწავლა უძველეს დროში. კოლუმბამდე ამერიკის ქვეყნებში, ძველ საბერძნეთში (არისტოტელე), ძველ რომში (გალენი), არაბულ სახელმწიფოებში (ავიცენა). ეს თიხები ახდენს წყლის ფილტრაციას (ფტორის მოცილება), ეწინააღმდეგება საკვებ და ეკოლოგიურ ტოქსინებს, ასუფთავებს ორგანიზმს ტოქსიკური ლითონებისგან, როგორიცაა ვერცხლისწყალი, კადმიუმი, ტყვია, ბენზოლი და სხვა, ასუფთავებს დაბინძურებულ ნიადაგს, აძლიერებს იმუნურ სისტემას და ა.შ. მეცნიერულ სამყაროში ბენტონიტი ცნობილია სახელწოდებით: **„თიხა – ბუნებრივი სამკურნალო, საშუალება 100 ავადმყოფობის წინააღმდეგ“**. ნიშანდობლივია, რომ ბენტონიტი იონების სახით შეიცავს ყველა მაკრო და მიკროელემენტებს, რომლებიც სასიცოცხლოდ აუცილებელია ადამიანის ორგანიზმისთვის – 70-მდე იმ 81 ელემენტიდან, რომლებიც აღმოჩენილია ადამიანის ორგანიზმში. ამ მიმართულებით გვაქვს მნიშვნელოვანი გამოკვლევები და შედეგები.

**მოგმართავთ პატივისცემით და მოკრძალებით, ბატონო პრემიერ-მინისტრო!**

**ბატონო გიორგი,**

**თქვენთვის ცნობილია, რომ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ალავერდის სამონასტრო კომპლექსის ფარგლებში, კერძოდ, იყალთოში აშენდა „იყალთოს ქვევრის პირველი სკოლა-აკადემია“, რომელიც საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 2016 წლის 22 სექტემბერს (ლომის წელი მიუძღვის აბბა ალავერდელ მიტროპლიტ დავითს).**

**მაგრამ წარმოება დღემდე გაჩერებულია, არ მუშაობს, მიზეზი – საჭიროა საწარმოს გაშვების პირველ ეტაპზე ფინანსური დახმარება, რომელიც წარედგინა სოფლი მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს. იმედი გვაქვს, რომ თქვენი მხარდაჭერით ეს საკითხი დადებითად გადაწყდება.**

**ჩემთვის და, დარწმუნებული ვარ, ყველა პატრიოტი ქართველისთვის საამაყოა, როცა თქვენ ბორდოში ღვინის ქალაქის პრეზიდენტ სილვი კაზისთან**

# მასალის სიცოცხლეს!

ერთად საზეიმო ვითარებაში გაჭერით ლენტი ქვევრის სიმბოლური მონუმენტის გახსნისას. მსოფლიო მასშტაბით, თუკი რაიმე მნიშვნელოვანი იმართება ღვინის თემაზე, გარკვეულწილად ყველაფერი ბორდოს უკავშირდება, ამიტომაც ის ფაქტი, რომ ბორდოს **„ღვინის ქალაქში“** პირველ საპატიო სტუმრად საქართველო წარმოდგენილი იყო, როგორც ღვინის სამშობლო, მსოფლიო აღიარების ტოლფასია.

ბატონო გიორგი, შარშან 27 მაისს იყალთოში გვეწვია თქვენი მთავრობის ხუთი მინისტრი, მათ დაათვალიერეს წარმოება და ყველა ის ობიექტი, რომელიც განლაგებულია ეპარქიის ფარგლებში, მათ შორის, მეუფე დავითის დიდი ძალისხმევით აღდგენილი XI საუკუნის ალავერდის სამონასტრო მარანი, სტუმრებმა დააგემოვნეს ქვევრის სხვადასხვა ღვინის სინჯები და კმაყოფილება გამოხატეს ყველაფრის ნანახით.

საქართველოში დღეს მილიონობით ლიტრი ღვინო ისხმება და წარმატებით ხდება მისი ექსპორტი სხვადასხვა ქვეყანაში. ხომ დამტკიცდა, რომ ღვინის უნიკალური ჭურჭელი კერამიკაა, ვიფიქროთ იმაზე, რომ მინის ტარა, რომელიც არავითარ სიკეთეს ღვინოს არ აძლევს, შევცვალოთ და საექსპორტო მაღალი ხარისხის ღვინოები ნაწილობრივ მოვათავსოთ კერამიკულ ბოთლებში, გარანტიას გაძლევთ ,კერამიკული ჭურჭელი მინის ჭურჭელთან შედარებით 2-ჯერ მტკიცე იქნება. რიგის ცნობილი ბალზამი, რომელიც მთელ მსოფლიოშია ცნობილი, მხოლოდ კერამიკულ ჭურჭელში ისხმება (კაზმის რეცეპტის დამუშავებისას ჩვენც ვმონაწილეობდით).

ცნობილი იტალიელი სპეციალისტი დონატო დანატი, რომელიც მსოფლიოს გამოჩენილ ხუთ ენოლოგთა რიცხვში შედის, გაოცებას ვერ ფარავდა ალავერდის მარნის ქვევრში დაყენებული კახური ქარვისფერი ღვინის დაგემოვნების შემდეგ, მან ასე გამოხატა თავისი შთაბეჭდილება: **„ჩვენი ცოდნა ვერ სწვდება ამ დიდ საიდუმლოს, ეს ზეენოლოგიის სფეროს განეკუთვნებაო“.**

ეს საიდუმლო იცის ალავერდის მარნის ენოლოგ-კონსულტანტმა დიდებულმა პიროვნებამ და მეცნიერმა, პროფ. თეიმურაზ ღლონტმა, ასევე მისმა მოწაფეებმა, მღვდელ-მონაზონმა იოსებმა, ბერმონაზონებმა — გერასიმემ და ზოსიმემ. საწარმოო სიმძლავრეების აკრეფის შემდეგ შესაძლებელი იქნება წელიწადში დიდი ტევადობის 2-3-ტონიანი 400-მდე ქვევრის გამოშვება, ხოლო შედარებით მცირე ტევადობის ქვევრების შემთხვევაში, თითქმის 2,5-ჯერ მეტი. წარმოებაში განზრახულია აგრეთვე ძვლის, ფაიფურის, მხატვრული მინანქრების, ფერწერის საღებავების, თხევადი ოქროს და სხვა ნაწარმის გამოშვება. სამუშაოებს გაეცნო და ლოცვა-კურთხევა მოგვცა ქართველი ხალხის სულიერმა მამამ, ჩვენმა ბრძენმა პატრიარქმა ილია II-მ.

გარდა ზემოაღნიშნული შეფერხებისა, არსებობს აგრეთვე სხვა პრობლემაც — არა გვყავს კერამიკული დარგის სპეციალისტი, რომელიც ერთდროულად გარკვეულიი ტრადიციული და ტექნიკური კერამიკის სხვადასხვა მიმართულების სფეროში, არა და ქვევრის აკადემიაში ასეთი სპეციალისტები აუცილებელია.

მოგმართავთ **განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, პატივისცემით და მოკრძალებით, ბატონ მიხეილ ჩხენკელს** წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძე) სიტყვებით:

**„ქრისტე-ღმერთმა თავის კალთა უხვობისა აქ, ამ პატარა ქვეყანაში დაიბერტყა. ამას იმიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო სავსეა... ეს მდიდარი პატარძალივით მორთული ქვეყანა, ეს ჯანიანი, მკლავ-ძლიერი ხალხი, გამრჯელი და ოფლის მღვრელი — მაშ, რაღადა ვართ ღარიბნი? სად და რაშია სათავე და მიზეზი ჩვენი სიღარიბისა? ...ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ ისა, რაც კაცს წინ მიუძღვება ხოლმე, მაგისთანა ღვთისნიერს წინამძღოლს ცოდნა ჰქვიან... და თუ არა ცოდნა, სხვა ვერაფერი გვიხსნის სიღარიბისგან, თუ არა ის ხერხი, ის ძალ-ღონე, რომელსაც მარტო ცოდნა და სწავლა-განათლება იძლევა. ნაღებს ქვეყნისას და ცხოვრებისას მცოდნე კაცი ჰხდის და უცოდინარს სასვლეპად თუ დო დარჩა, ღმერთს მადლობა შესწიროს“.**

**ბატონო მიხეილ,** ჩვენთან ტექნიკურ უნივერსიტეტში, საბაკალავრო პროგრამა **„ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია“** არ არის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული, უფრო მეტიც იმყოფება არათანაბარ კონკურენტიან გარემოში. საქმე ისაა, რომ დაფინანსებულია სხვადასხვა დარგები: მშენებლობა, ენერგეტიკა, არქიტექტურა, მეტალურგია, მასალათმცოდნეობა, სამთო-ინჟინერია და ამის გამო აბიტურიენტი, რა თქმა უნდა, ირჩევს დაფინანსებულ პროგრამებს. **„ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“** პროგრამა, როგორც ქვეყნისთვის აუცილებელი მიმართულება გთხოვთ, ახალი სასწავლო წლიდან, 2018 წლის სექტემბრიდან იქნეს დაფინანსებული, რადგან უმისოდ შეუძლებელია სხვა ნებისმიერი დარგის არსებობა და ფუნქციონირება.

გაცნობებთ, რომ განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის დავალებით მონაწილეობა მივიღეთ და შევადგინეთ ორი პროფესიული სტანდარტი: მხატვრული მომინანქრების სპეციალისტი და მხატვრული კერამიკული ნაწარმის სპეციალისტი.

ბატონო მიხეილ, გთხოვთ გვეწვიოთ ტექნიკური უნივერსიტეტის მე-2 სასწავლო კორპუსში და გაეცნოთ ჩვენი კვლევის შედეგებს კერამიკის სხვადასხვა მიმართულებით, დარწმუნებული ვართ, კმაყოფილი დარჩებით.

ასევე მივმართავთ ქალბატონ **თამარ სანიკიძეს** გვეწვიეთ და გაგაცნობთ ჩვენს სიახლეებს ადგილობრივი რესურსებით მხატვრული მომინანქრების და კერამიკული ნაწარმის მიღების მეთოდებს.

მივმართავ **თბილისის სამხატვრო და სასულიერო აკადემიებს**, კარგად ვიცი თქვენი პრობლემები, მობრძანდით ჩვენთან, დაგეხმარებით ფერწერული საღებავების, ძვირფას და ფერად ლითონებზე გამოყენებული მინანქრების, თხევადი ოქროს, ფაიფურის, ტერაკოტის, მაიოლიკის, მხატვრული ჭიქურების, ლუსტრების და ყოველგვარ თქვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით.

ჩვენთან კათედრაზე იყვნენ მცხეთელი კერამიკოსები, რომლებმაც განაცხადეს ხელისუფლების ნება, რომ ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდეს სხვადასხვა დანიშნულების კერამიკული მასალების წარმოება. მივესალმებით ღონისძიებას და მზად ვართ, საქართველოს ძველი დედაქალაქი გადავაქციოთ კერამიკის მექად.

ერთი პირობით — ნებისმიერ კონსულტაციას და მატერიალურ დახმარებას გაგიწევთ ყოველგვარი ანგარიშის გარეშე, ეს აუცილებელია, ვინაიდან ჩვენ ასაკის გამო სიბერეში შევედით და შეიძლება, ბევრი სიახლე განუხორციელებელი დარჩეს, გახსოვთ, ალბათ, ილია მართლის სიტყვები: **„ზოგი სიბერე ტკბილია, ზოგი — მწარე — ორივე დასწყევლოს ღმერთმა“.**

ავტორიზაციის, და აკრედიტაციის პროცესებმა, საქართველოში და ასევე ტექნიკურ უნივერსიტეტშიც რომ მიმდინარეობს, ლაკმუსის ტესტით წარმოაჩინა ზოგიერთი თანამშრომელი, რომელსაც აგური აგურზე არ დაუდვია, არავითარი სერიოზული სამრეწველო დანერგვა არ გააჩნიათ, ყველაზე მეტად აქტიურობენ, **„გახდნენ“** სრული პროფესორები. მახსენდება პოეტის სიტყვები: **„ზოგს დიდოსტატის მკლავი უკურთხეს, როგორ არა არის გასაოცარი, არ მოუჭრია ერთი ჩუქურთმა ისეა დიდი ხუროთმოძღვარი“.** მიზეზთა შორის ერთ-ერთი ისიცაა, რომ: კოკისპირულად იზრდება საეჭვო დისერტაციების დაცვა და **„პროფესორების“** რაოდენობა, რატომ ხდება შესაბამის კათედრაზე წინასწარი დაცვის უგულებელყოფა? გაუსაძლისი გვალვაა ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა ხარისხის მიმართ! მავანმა მოისმინოს ჩვენი შეგონება: არაკვალიფიციურმა რაოდენობამ და ხარისხმა დაიჩივლეს — გაიგეთ, რომ ჩვენ



სასწორის სხვადასხვა პინაზე ვსხედვართ და რომ ერთის აწევა მეორის დაწევას იწვევს.

მეცნიერის ამოცანები ახლა შეიცვალა: გარემო ბუნების ცალკე ფაქტების, ცალკე მოვლენათა აღწერა მას არ აკმაყოფილებს, თავის ლაბორატორიაში ზოგიერთი ცდის შედეგებზე დაკვირვება მისთვის ცოტაა. იგი სწავლობს ნივთიერებას, ე. ი. მან უნდა გაიგოს, როგორ წარმოიშვა ნივთიერება, რატომ წარმოიშვა და რა მოელის შემდეგში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სულ მალე მოვა დრო, როდესაც მშვიდობიანი შრომა დაეუფლება მთელ საქართველოს, როდესაც მეცნიერებისა და მეცნიერული მშენებლობის პრობლემები განაგებს ყველაფერს, განამტკიცებს მეურნეობას, მრეწველობას და ააგებს ახალ ბედნიერ და თავისუფალ ცხოვრებას.

**მეცნიერების გაფურჩქვნის ხანაში მოინახება ადგილი ჩვენი პატარა წინადადებისთვის — არ ვაწვალოთ მოწაფე და სტუდენტი გრძელი, ძნელად დასამახსოვრებელი, გაუგებარი სახელწოდებით და ავაგოთ მეცნიერება ისე, რომ სახელები მწყობრად და ზუსტად მოთავსდნენ შეგირდის გონებაში, რომ ყოველი ახალი სახელი ქვის, მინერალის, მინანქრის, ქვევრის და ფლორა-ფაუნის მჭიდროდ იყოს დაკავშირებული მის დამახასიათებელ თვისებებთან. ქიმიის, ფიზიკისა და სილიკატების ტექნოლოგიის თანამშრომლობამ მიგვიყვანა ჩვენ იმ ახალ მრეწველობასთან, როდესაც რკინის საუკუნის კერამიკული მასალების საუკუნით შეცვლას აპირებს.**

**რამდენად სამწუხაროა, რომ კერამიკის დარგის წამყვანი პროფესორის სილაბუსი 6 კრედიტზეა შედგენილი.**

მოვუწოდებ ყველა მეცნიერს და, პირველ რიგში, ჩემს თავს, შეფასების კრიტერიუმად დავისახოთ დიდი ქართველი ფიზიკოსის, აუხსნელი და იდუმალი მოვლენების შესწავლის ხელმძღვანელის, აკადემიკოს **ივერი ფრანგიშვილის** სიტყვები: **„მეცნიერული სიახლე რაგინდ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს, მხოლოდ მაშინ არის ღირებული, როდესაც პრაქტიკულად მოგვცა შედეგი“.**

გფარავდეთ უფალი,

**გურამ გაფრინდაშვილი,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, რესპუბლიკის დამსახურებელი გამომგონებელი.**
საკონტაქტო ტელეფონი
599 567765, 599100482

**P. S. საგაზეთო წერილის შედგენისას რამდენიმე თანამშრომელი მარიგებდა — ნუ წვალობ, სტატიას არავინ წაიკითხავსო! ...ვნახოთ!..**

**გ. გ.**



## პოლონეთში ქართული ღვინის დეგუსტაციები გაიმართა

**ქართული ღვინის წარდგენა პოლონეთის ქალაქებში ზაკოპანესა და კრაკოვში გაიმართა. ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანია „Malinova“-ს ორგანიზებით, ზაკოპანეში ქართული ღვინის დეგუსტაცია სამთო-სათხილამურო სპორტის სახეობების თასის გათამაშების ფარგლებში მოეწყო, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა მიეცა დაეგემოვნებინათ სხვადასხვა სახეობის ქართული ღვინოები.**

**„Malinova“-ს ორგანიზებულ ღონისძიებაზე კრაკოვში, ქართული ღვინო ქალაქის მთავარ მოედანზე მდებარე ეროვნული მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში დააგემოვნეს. ღონისძიებაზე მოწვეული იყო 200-მდე სტუმარი. დეგუსტაციაზე მუზეუმის წესების თანახმად, წარდგენილი იყო სხვადასხვა ქართული კომპანიების მხოლოდ თეთრი ღვინოები. ქართული ღვინის სემინარი-დეგუსტაცია ღვინის ეროვნული სააგენტოს კიდევ ერთი კონტრაქტორი კომპანია „Vinisfera“-ს მიერ მოეწყო ამ დღეებში კრაკოვში, სადაც ღვინოსთან ერთად წარმოდგენილი იყო ქართული სამზარეულოც. სემინარს უძღვებოდა „Vinisferab-ს ხელმძღვანელი მარიუს კაპჩინსკი და მას ადგილობრივი იმპორტიორები და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის პოპულარიზაციისკენ მიმართული სხვადასხვა აქტივობა პოლონეთში მთელი წლის მანძილზე ჩატარდება, რადგან ეს ქვეყანა ქართული ღვინის საექსპორტო ერთ-ერთ სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს. პოლონეთი ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში შედის და 2017 წლის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებულია 2 676 440 ღვინო, რაც 15 %-ით აღემატება 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.**

## ქართველი დიზაინერების პროდუქცია MOREDASH-ის შოურუმში

28 თებერვლიდან 6 მარტის ჩათვლით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 8 ქართველი დიზაინერის პროდუქცია საფრანგეთში, ქალაქ პარიზში „Moredash“-ის შოურუმში იქნება წარდგენილი. ღონისძიება, რომელიც პარიზის მოდის კვირეულის ფარგლებში წელიწადში ოთხჯერ იმართება, ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბურია და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან დაახლოებით 100 კომპანიასა, 130 ცნობილ შემსყიდველს (ე.წ ბაიერი) და პრესის წარმომადგენელს მასპინძლობს.

სააგენტოს ექსპორტის მიმართულების ორგანიზებით, შოურუმში შემდეგი ქართული ბრენდები წარდგებიან: „N-Duo“, „Dalood“, „Anouki“, „Tamuna Ingoroyva“, „Lako Bukia“, „Brand Lalo“, „Materia Tbilisi“, Ltd „Lya“. შოურუმის ფარგელებში თითოეული ბრენდის წარმომადგენელსა თუ დიზაინერს საშუალება ექნება პროდუქცია ცნობილ შემსყიდველებს (ე.წ ბაიერებს) გააცნონ, დაამყარონ ბიზნესკავშირები პოტენციურ დამკვეთებთან და მოახდინონ წარმოებული პროდუქციის, როგორც პოპულარიზაცია ასევე საერთაშორისო ბაზრებზე რეალიზაცია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ მსგავსი ტიპის ღონისძიებებს პერმანენტულად უწევს ორგანიზებას და აღნიშნული სახის გამოფენებში მონაწილეობით ხელს უწყობს ქართული პროდუქციის პოპულარიზაციას საერთაშორისო ბაზარზე.

# საქართველოს ლეიბორისტული პარტიის 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დასკვნა მომზადებულია საჯარო სექტორის აუდიტორის მურმანი საბანაძის (სერტიფიკატის №0014) მიერ. ჩემს მიერ ჩატარებული იქნა საქართველოს ლეიბორისტული პარტიის 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ხემძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე. აუდიტი ჩატარებულია საქართველოს ორგანული კანონის "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" მოთხოვნათა შერულების მიზნით.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა**

ჩემს პასუხისმგებლობაში შედის გამოვთქვა მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩემს მიერ ჩატარებული აუდიტის საშუალებით. აუდიტი ჩავატარე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩემი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მიღებული იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულობების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებით უზუსტობების რისკების შეფასება. აუდიტი აგრეთვე, გულისხმობს ხემძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულობები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი მოიცავს 2017 წლის პერიოდს. ჩემს მიერ ჩატარებული აუდიტი შეეხება აღნიშნულ პერიოდს.

წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე სრულყოფილი აზრის გამოსახატავად ჩემს მიერ განხილული და შემოწმებული იქნა შემდეგი საანგარიშგებო დოკუმენტები:

**2. საბიუჯეტო შემოსავლები**

საქართველოს ლეიბორისტული პარტიას 2017 წლის პერიოდში ბიუჯეტიდან დაფინანსების წყარო იყო საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2014 წლის 15 ივლისის №274/2014 განკარგულება "საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2017 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ" აღნიშნულ განკარგულების თანახმად საქართველოს ლეიბორისტული პარტიას საბიუჯეტო დაფინანსება განესაზღვრა (ფაქტობრივი და საკასო შემოსავალი) 472 812.0 ლარის ოდენობით. (ანგ. ანგარიშის №№GE34BG0000000331054602), ხოლო საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 22 ნოემბრის №221/2016 განკარგულება "პარტიების დაფინანსების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" "საარჩევნო სისტემის განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრიდან" დაფინანსება განისაზღვრა (ფაქტობრივი და საკასო შემოსავალი) 169 021.0 ლარის ოდენობით. (ანგ. ანგარიშის №№GE88BG0000000331054600). რაც შეეხება "საბიუჯეტო დაფინანსებას საარჩევნო ხარჯების ანაზწღაურებაზე" (ფაქტობრივი და საკასო შემოსავალი) სულ შეადგინა 219 045.70 ლარი. (ანგ. ანგარიშის №№GE34BG0000000331054602) 2017 წლის პერიოდში საარჩევნო უბნებზე და ოლქებში პარტიის წარმომადგენლებისათვის შრომის ანაზღაურებისათვათვის ჩარიცხულია (ფაქტობრივი და საკასო შემოსავალი) 375 350.0 ლარი. (ანგ. ანგარიშის №№GE34BG0000000331054602) 2017 წლის პერიოდში ფიზიკური პირებისაგან შემოწირულობებმა შეადგინა 23 193.0 ლარი. (ანგ. ანგარიშის №№GE34BG0000000331054602)

**3. საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა**

ე.ი. სულ 2017 წლის პერიოდში (ფაქტობრივი და საკასო შემოსავალი) სულ შეადგინა (472 812.0 + 169 021.0 + 219 045.70 + 375 350.0 + 23 193.0) = 1 259 421.70 ლარი. აქედან 351 247.0 ლარზე (ფაქტობრივი ხარჯი) 292 308.0 ლარზე (საკასო ხარჯი). უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 22 აგვისტოდან 1 ნოემბრის ჩათვლით ადგილობრივი არჩევნების საარჩევნო პერიოდის დასკვნა არის წარმოდგენილი. დანარჩენი სახსრების 2017 წლის პერიოდში ფაქტობრივი და საკასო ხარჯი მოცემულია ქვემოთ აღნიშნულ ცხრილში:

| | დასახელება | ფაქტობრივი ხარჯი | საკასო ხარჯი |
|---|---|---|---|
| | **სულ ხარჯი მათ შორის** | 790 042 | 891 691 |
| 1.1 | შრომის ანაზღაურება | 493 476 | 550 657 |
| 1.1.1 | ხელფასები | 303 950 | 361 131 |
| 1.1.3 | შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურება საარჩ. უბნის. წარმომ. ანაზღაურება | 189 526 | 189 526 |
| **1.2** | **საქონელი და მომსახურება მათ შორის** | **240 901** | **285 370** |
| 1.2.1 | მივლინებები | 178 335 | 178 335 |
| 1.2.1.1 | მივლინებები ქვეყნის შიგნით | 22 335 | 22 335 |
| 1.2.1.2 | მივლინებები ქვეყნის გარეთ | 156 000 | 156 000 |
| 1.2.2 | ოფისის ხარჯები | 16 956 | 16 956 |
| 1.2.2.1 | საკანცელარიო საქონლის,საოფისე ტექნიკის და ინვენტარის შეძენის დამონტაჟების და მოვლა-შენახვის ხარჯები | 3 979 | 3 979 |
| 1.2.2.4 | კავშირგაბმულობის ხარჯი | 3 415 | 3 415 |
| 1.2.2.6 | კომუნალური ხარჯი | 9 562 | 9 562 |
| 1.2.2.6.1 | ელექტროენერგიის ხარჯი | 7 491 | 7 391 |
| 1.2..2.6.2 | წყლის ხარჯი | 1 671 | 1 671 |
| 1.2.2.6.4 | სხვა კომუნალური ხარჯი | 400 | 400 |
| 1.2.4 | კვების ხარჯები | 2 258 | 2 258 |
| 1.2.6 | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | 31 400 | 31 400 |
| 1.2.6.1 | საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი | 31 400 | 31 400 |
| 1.2.7 | ბანკის მომსახურების ხარჯი | 1 848 | 1 848 |
| 1.2.8 | რეკლამის ხარჯი | 3 817 | 33 121 |
| 1.2.8.3 | ინტერნეტ-რეკლამის ხარჯი | 2 650 | 2 650 |
| 1.2.8.4 | ბრენდირებული აქსესუარებით რეკლამის ხარჯი | 0 | 600 |
| 1.2.8.5 | გარე რეკლამის ხარჯი* | 1 167 | 27 246 |
| 1.2.8.6 | სხვა სარეკლამო ხარჯები სარეკლამო კლიპის დამზადება | 0 | 2 625 |
| 1.2.9 | სესიების,კონფერენციების,ყრილობების,სემინარების და სახვა სამუშაო შეხვედრების მოწყობის ხარჯები | 2 901 | 2 954 |
| 1.2.11 | აუდიტორიული მომსახურების ხარჯი | 1 500 | 2 081 |
| 1.2.13 | იჯარის ხარჯი | 0 | 2 031 |
| 1.2.13.1 | უძრავი ქონების იჯარის ხარჯი | 0 | 1 875 |
| 1.2.13.2 | ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარის ხარჯი | 0 | 156 |
| 1.2.15 | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 1 886 | 14 386 |
| **1.5** | **სოციალური უზრუნველყოფა** | **125** | **125** |
| **1.6** | **სხვა ხარჯები** | **55 540** | **55 540** |
| 1.6.3 | მოსაკრებლები | 190 | 190 |
| 1.6.3 | სხვადასხვა ხარჯები .. ცკ-ში გაუხარჯავი თანხის დაბრუნება | 55 350 | 55 350 |

როგორც მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ფაქტობრივი ხარჯმა შეადგინა 790 042.0 ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა 891 691.0 ლარი. ანუ საკასო ხარჯი 101 649 ლარით მეტია ფაქტობრივ ხარჯზე. მათ შორის შრომის ანაზღაურების ფაქტობრივი ხარჯმა შეადგინა 493 476.0 ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა 550 657.0 ლარი. ანუ საკასო ხარჯი 57 181.0 ლარით მეტია ფაქტობრივ ხარჯზე. შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურება საარჩევნო უბნის წარმომადგენლების ანაზღაურების ფაქტობრივი და საკასო ხარჯმა შეადგინა 189 526.0 ლარი. საქონელი და მომსახურების ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 240 901.0 ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 285 370.0 ლარი. ანუ საკასო ხარჯი 44 469.0 ლარით მეტია ფაქტობრივ ხარჯზე. მათ შორის მივლინებების ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ ფაქტობრივი და საკასო ხარჯმა შეადგინა 178 335.0 ლარი, ოფისის ფაქტობრივმა და საკასო ხარჯმა შეადგინა 16 956.0 ლარი და ასე შემდეგ. სოციალური უზრუნველყოფის ფაქტობრივი და საკასო ხარჯმა შეადგინა 125.0 ლარი. სხვა ხარჯები ფაქტობრივი და საკასო ხარჯმა შეადგინა 55 540.0 ლარი.

**4. სალაროს და საბანკო ოპერაციების კანონიერება.**

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სალაროს ნაშთი არ ფიქსირდება 2017 წლის პერიოდში სალაროს შემოსავლები ბანკიდან გამოტანილია თანხებია 165 725.0 ლარი, და გაცემულია 165 006.0 ლარი. ძირითადად სამივლინებო ხარჯებისათვის, გაცემულია 7 200.0 ლარი გორის წარმომადგენლებზე ხელფასებისათვის და 1 686.0 ლარი კვების ხარჯებისათვის. 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთმა შეადგინა 719.0 ლარი

საქართველოს ლეიბორისტული პარტიას საბანკო ანგარიშები გახსნილი აქვს ს/ს "საქართველოს ბანკში" "პოლიტიკური პარტიების საბიუჯეტო დაფინასება ანგარიშის №GE61BG0000000331054601, №GE34BG0000000331054602 და №GE88BG0000000331054600 სადაც 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი ერიცხებოდა 171.0 ლარი, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 74 855.14 ლარი. საბანკო ოპერაციების პირველადი დოკუმენტაცია წარმოდგენილია ელექტრონული სასაქონლო ზედებულებით როგორც საქონლის შესყიდვებზე ასევე მომსახურეობაზე. საწვავი ეძლევათ თანამშრომლებს კერძო ავტომანქანებზე პარტიის თავმჯდომარის ბრძანების, ან საორგანიზაციო მდივნის ბრძანების თანახმად. ასევე არის წარმოდგენილი პარტიის თავმჯდომარის ბრძანებები მივლინებებზე

**5. დებიტორ-კრედიტორები.**

საქართველოს ლეიბორისტული პარტიას 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედარების აქტის საფუძველზე დებიტორული დავალიანება არ ფიქსირდება. რაც შეეხება კრედიტორულ დავალიანებას 2018 წლის 1 იანვრის მდგომარებით კრედიტორულმა დავალიანებებმა სხვადასხვა ორგანიზაციებზე და ფიზიკურ პირებზე შეადგინა 22 500 ლარს.

**მურმანი საბანაძე**

**ი/მ "მურმანი საბანაძე" საჯარო სექტორის აუდიტორი**

## შეტყობინება

სააქციო საზოგადოება „ოპიზარი"-ს დირექცია, მდებარე ქალაქ თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩა №121-ში, ატყობინებს შემდეგ აქციონერებს აუცილებლად გამოცხადდნენ ადმინისტრაციაში ამა წლის 15 მარტს 12 საათზე აქციათა საკითხის თაობაზე.

1. ბაღდასაროვი შარვაში, მცხ. თბილისში, მ. წინამძღვრიშვილის ქ. №137
2. დოლია ვიქტორი მცხ. თბილისი, დიღმის მასივი, მე-4 კვარ. კ. 12, ბ 75;
3. ივანისელი მიხეილი მცხ. თბილისი, დვირის ქ. №14;
4. კარიბოვი პავლე მცხ. თბილისი, კონიაკის დასახ. კორპ. 7, ბ. 33;
5. მოისევა სვეტლანა მცხ. თბილისი, გლდანი, მე-7 მ/რ, კორპ. 20. ბ. 70. ან გამოგვეხმაუროს მემკვიდრეები.

ს.ს. „ოპიზარი"-ს დირექტორი **ნ. გუმბერიძე,**
ტელ. 598555999

## განცხადება

2018 წლის 21 მარტს, 12 საათზე, ჩატარდება სააქციო საზოგადოება „ოპიზარი"-ს აქციონერთა საერთო კრება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. №121.

**დღის წესრიგი:**

1. 2007 წლის ბალანსის შედეგების განხილვა. (მომხს. ნ. გუმბერიძე)
2. მოგების განაწილების დამტკიცება. (მომხს. ჩ. მიქაძე)
3. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა:
4. სხვადასხვა.

ს.ს. „ოპიზარი"-ს აქციონერთა რეგისტრაციის სააღრიცხვო დღეა 2018 წლის 5 თებერვალი.

დღის წესრიგთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სააქციო საზოგადოება „ოპიზარი"-ს დირექციაში.

**ს.ს. „ოპიზარი"-ს ადმინისტრაცია**

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მანანა მეძველიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მანანა მეძველია (პ/ნ 60001040426), ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. №73, ბინა №65.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. №73, ბინა №65 (საკადასტრო კოდი: 03.04.21.139.01.065 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 15388.75 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 27 თებერვალი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2018 წლის 19 მარტი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP50146518;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 501465

6. **მოვალე:** გიორგი მეძველია (60001042063); ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. №73, ბინა №65;
მანანა მეძველია (პ/ნ 60001040426), ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. №73, ბინა №65.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“,ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP50146518; ლოტის ნომერი: 501465).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 19 მარტის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. №39ბ, სართული 6 (METRIC-ის ოფისი).

---

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ლია ჩანადირის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ლია ჩანადირი (პ/ნ 01030008618), თბილისი, თამარაშვილის №8, სართული 4, ბინა №11.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, თამარაშვილის №8, ბინა №11 (საკადასტრო კოდი: 01.14.14.002.014.01.011).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 16335.52 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 28 თებერვალი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2018 წლის 19 მარტი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP50181218;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 501812

6. **მოვალე:** ლია ჩანადირი (პ/ნ 01030008618), თბილისი, თამარაშვილის №8, სართული 4, ბინა №11;
მერაბ ხონელიძე (პ/ნ 01008015968), თბილისი, თამარაშვილის №8, სართული 4, ბინა №11.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“,ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP50181218; ლოტის ნომერი: 501812).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 19 მარტის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. №39ბ, სართული 6 (METRIC-ის ოფისი).

---

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი გაბრიელაშვილის და ომარ ზაქაიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთებზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი გაბრიელაშვილი (პ/ნ 16001026635), დუშეთი, რადიოსადგურის დასახლება №5, კორპუსი 2, ბინა №9;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
დუშეთი, რადიოსადგურის დასახლება №5, კორპუსი 2, ბინა №9 (საკადასტრო კოდი: 71.56.11.018.01.009).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ომარ ზაქაიძე (პ/ნ 65404000594), დუშეთი, ერეკლე II ქ. №109;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
დუშეთი, ერეკლე II ქ. №109 (საკადასტრო კოდი: 71.51.02.286).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

3. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 15214.20 ლარი.
4. **უძრავი ნივთების რეალიზაციის ფორმა:** უძრავი ნივთების რეალიზაცია ხორციელდება ერთ ლოტად.
5. **აუქციონის დაწყების დრო:** 2018 წლის 19 მარტი, 17:00 საათი;
6. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
7. **მოვალე:** ი/მ „ლევან სალუქვაძე“ (პ/ნ 33001026225), ოზურგეთი, სოფელი ძიმითი; თბილისი, გლდანის მე-4 მ/რ, 110ა კორპუსი, ბინა №68;
ნუგზარ შარაბიძე (პ/ნ 23001000020), თბილისი, გლდანის 3 მ/რ, კორპ. 13, ბინა №35;
გიორგი ზაქაიძე (პ/ნ 16001007053), დუშეთი, ერეკლე II ქუჩა №109;
შპს „გაბრო“ (ს/კ 429320727), დუშეთი, მწითურის 49;
შპს „ულუ“ (ს/კ 437062081), ოზურგეთი, სოფელი ძიმითი; თბილისი, გლდანის მე-4 მ/რ, 110ა კორპუსი, ბინა №68.
8. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
9. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“,ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 19 მარტის 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

---

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს იოსებ ჩხაიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** იოსებ ჩხაიძე (პ/ნ 01003017562), თბილისი, მუხიანი, I მ/რ, კორპუსი 2, ბინა 119.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, მუხიანი, I მ/რ, კორპუსი 2, სართული 9, ბინა 119 (საკადასტრო კოდი: 01.11.13.002.004.01.119).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 19104 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 27 თებერვალი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2018 წლის 19 მარტი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP50146418;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 501464

6. **მოვალე:** ირაკლი ჩხაიძეს (01003007877); თბილისი, მუხიანი, I მ/რ, კორპუსი 2, ბინა 119;
იოსებ ჩხაიძე (პ/ნ 01003017562), თბილისი, მუხიანი, I მ/რ, კორპუსი 2, ბინა 119.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“,ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP50146418; ლოტის ნომერი: 501464).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 19 მარტის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. №39ბ, სართული 6 (METRIC-ის ოფისი).

ღირსეული

# ტოჩინოშინი სეკივაკეა!



**ლევან გორგაძე მარტის ბაშოს სეკივაკეს რანგში ჩაატარებს**

სუმოს ბანძუკეს რეიტინგი უკვე ოფიციალურად განახლდა და ტოჩინოშინის შიკონათი ცნობილი ქართველი სეკიტორი, მოლოდინისამებრ, საგრძნობლად დაწინაურდა. იმპერატორის თასის მფლობელი იანვრის ბაშოზე მე-3 მაეგაშირად იწოდებოდა.

სეზონის მეორე სუპერტურნირი 11 მარტს დაიწყება ოსაკაში. მოახლოებული ბაშოს წინ ქართველმა სუმოისტმა უმნიშვნელოვანესი ჯილდო მიიღო — საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ლევან გორგაძე ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

**ბეჟან დოლიძე**

კალათბურთი

# თბილისმა რეკორდი დაამყარა

**მსოფლიოს 2019 წლის საკალათბურთო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ევროპის ზონაში თბილისმა რეკორდი დაამყარა. როგორც ფიბა-ს ვებ-გვერდი იტყობინება, საქართველოსა და გერმანიის ეროვნულ ნაკრებთა მატჩს სპორტის სასახლეში 8 ათასზე მეტი გულშემატკივარი დაესწრო და ეს მიმდინარე საკვალიფიკაციო ეტაპის სარეკორდო დასწრებაა ევროპის ზონაში.**

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის შეხვედრას თბილისმა ისტორიაში პირველად უმასპინძლა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს გუნდმა გერმანიასთან წააგო (77:87) და G ჯგუფში მესამე ადგილზეა. ამავე ჯგუფიდან მეორე ეტაპზე თამაშის უფლება უკვე გაინაღდეს გერმანიისა და სერბეთის ნაკრებებმა.

**ვიტალი ჯაფარიძე**



აკრობატიკა

# გეოგრაფიაც, რაოდენობაც



**იყო დრო, ქართველი აკრობატები მთელ მსოფლიოს მაგალითს აძლევდნენ, მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. საბედნიეროდ, სპორტის ეს სახეობა ჩვენთან ახლა აღორძინებას იწყებს. დასტურად საქართველოს ჩემპიონატიც (მთავარი მსაჯი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი მარიამ გიგოლაშვილი) გამოდგება - შეჯიბრებაში თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, თერჯოლის, მარნეულისა და ბათუმის 80-მდე წარმომადგენელი ასპარეზობდა. წინა წლებთან შედარებით აკრობატიკის გეოგრაფიაც გაიზარდა და მონაწილეთა რაოდენობაც — ახალგაზრდებს შორის გოგონათა წყვილებსა და სამეულებში უკვე კონკურენციაა.**

პირველი აპრილიდან ბელგია სპორტულ აკრობატთა მსოფლიოს პირველობას უმასპინძლებს. 16-წლამდელებში გამოვა ქართველ გოგონათა ორი სამეული და ვაჟთა კვარტეტი, ასევე, გოგონათა და ვაჟთა თითო დუეტი და ერთი შერეული წყვილი, ხოლო 18-წლამდელებში შერეული წყვილი, გოგონათა დუეტი და სამეული მოსინჯავს ძალებს.

რაც შეეხება საქართველოს ჩემპიონატს, პირველ ადგილებზე გავიდნენ: **16-წლამდელებში. გოგონათა ჯგუფური.** თინათინ მანაგაძე, ანანო ლაღიძე, ინა კუხიანიძე (ქუთაისი); **წყვილები.** ნინო ჩქარიაული, ნუცა კვანჭილაშვილი (თბილისი); **ვაჟთა ჯგუფური.** გიორგი ოქროპირიძე, გიორგი ჩანადირი, გიორგი ხმალაძე, საბა მარიდაშვილი (თბილისი-რუსთავი); **წყვილები.** გიორგი ჭიღლაძე, ბექა დიდბერიძე (თბილისი); **შერეული წყვილი.** ნიკოლოზ კოდალაშვილი, მარიამ წიკლაური (თბილისი). **18-წლამდელებში. გოგონათა ჯგუფური.** მარიამ მღებრიშვილი, ნინო ბაიდაური, ლიზი ომიაძე; **წყვილები.** ქრისტინე მელია, ლია სილაგაძე; **შერეული წყვილი.** ლაშა ღიბრაძე, მარიამ შიუკაშვილი. **უფროსებში** მხოლოდ ერთი შერეული წყვილი იყო - ვლადიმერ ფირადაშვილი, თამარ ქუთათელაძე (ყველა-თბილისი).

**ლექსო ცინცაძე**

ჩოგბურთი

# ისევ მარცხი

**საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ლიდერი ნიკოლოზ ბასილაშვილი უკვე ზედიზედ მერამდენე ტურნირია, სტარტზევე მარცხდება. გუშინაც აკაპულკოს ღია ტურნირის (საპრიზო ფონდი 1.642.795 დოლარი) პირველ წრეში რეიტინგით 59-ე ადგილზე მყოფ ამერიკელს — ჯარედ დონალდსონს შეხვდა და სასტარტო პარტია 2:6 დათმო. მეორე სეტს 2:3-ს რომ აგებდა, ჩვენებურმა თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო. ამდენი მარცხის შემდეგ ბასილაშვილი მსოფლიო რეიტინგში სამოცდამეერთედან 84-ე საფეხურამდე ჩამოქვეითდა, თუმცა, სამაგიეროდ, წყვილებში აქვს წინსვლა — ერთ კვირაში 80 საფეხურით დაწინაურდა. მექსიკურ ტურნირზე იგი დუეტთა პაექრობაში საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაება მოლდოველ რადუ ალბოტთან ერთად, სადაც მათ დენის კუდლასა (აშშ) და ლუის პატინოს (მექსიკა) აჯობეს — 6:3, 3:6, 10:8, ძირითად ბადეში გადასასვლელი პაექრობა კი მაქს მირნისა (ბელარუსი) და ფილიპ ოსვალდოს (ავსტრია) მოუგეს — 5:7, 7:5, 16:14. მთავარი ტურნირის დებიუტში დღეს ისინი მეორე ნომრად განთესილ მატე პავიჩსა და ოლივერ მარახს (ავსტრია) გაუწევენ მეტოქეობას.**

ჩოგბურთელ ქალ-ვაჟთა საერთაშორისო ასოციაციების მიერ განახლებულ რეიტინგებში ქართველთა მაჩვენებლები ასეთია:



ქალები. **ერთეულები.** 326 (326). ეკატერინე გორგოძე (137), 343 (344). სოფიო შაფათავა (127), 561 (561). მარიამ ბოლქვაძე (47). **წყვილები.** 65 (55). ოქსანა კალაშნიკოვა (1105), 240 (241). სოფიო შაფათავა (298), 370 (383). ეკატერინე გორგოძე (154), 627 (631). მარიამ ბოლქვაძე (55), 762 (765). თათია მიქაძე (34), 983 (983). სალომე დევიძე (18).

ვაჟები. **ერთეულები.** 84 (77). ნიკოლოზ ბასილაშვილი (666), 1084 (1085). გიორგი ცივაძე (8), 1224 (1226). ალექსანდრე ბაქში (4), 1585 (1586). გიორგი ჯავახიშვილი (1), 1819 (1821). ვაჟა შუბლაძე (1). **წყვილები.** 317 (397). ნიკოლოზ ბასილაშვილი (180), 862 (863). გიორგი ცივაძე (42), 1180 (1181). ალექსანდრე ბაქში (16).

**ლაშა დიდია**

# საფეხბურთო მოზაიკა

**18 წლის ქართველი ნახევარმცველი გიორგი ჩაკვეტაძე „გენტში“ ადგილს იმკვიდრებს და მის მიმართ ბელგიური პრესის ინტერესიც იზრდება.**

გასულ შაბათს „ბევერენთან“ წარმატებული მატჩის შემდეგ, რომელშიც გიორგი 62-ე წუთიდან ჩაერთო და „გენტის“ გამარჯვებაში (2:1) დიდი წვლილი შეიტანა, მის შესახებ არაერთმა გამოცემამ დაწერა. ამჯერად ბელგიური საიტი voetbalnieuws-ი „გენტის“ მენეჯერის მიშელ ლუვაგის კომენტარს აქვეყნებს, სადაც ის ამბობს, რომ კლუბს ქართველ ფეხბურთელთან დაკავშირებით დიდი გეგმები აქვს.

„გენტი“ ჩაკვეტაძეს მომავალს უკავშირებს — გუნდი მის ირგვლივ უნდა ავაშენოთ. ეს ფეხბურთელი ჩვენი მომავალი 10 ნომერია. ამ ზაფხულს გიორგის სანაცვლოდ 15 მილიონი ევროც რომ შემოგვთავაზონ, მას ვერ შევეელევით. გვინდა, რომ ის გუნდში კიდევ ორი წლით მაინც შევინარჩუნოთ“ — აცხადებს კლუბის მენეჯერი.



გიორგი ჩაკვეტაძე „გენტში“ შარშან ზაფხულში თბილისის „დინამოდან“ გადავიდა და მალევე ვარჯიშზე მიღებული ტრავმის გამო გარკვეული დრო გაუცდა, გამოჯანმრთელების შემდეგ კი, ახალი წლიდან უკვე რეგულარულად ეძლევა თამაშის საშუალება და საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენასაც ახერხებს. ბოლო პერიოდში ბელგიური გამოცემები წერდნენ, რომ ქართველი ფეხბურთელის შეძენით ინგლისური კლუბები არიან დაინტერესებულნი — კონკრეტულად, საუბარი იყო „ტოტენჰემსა“ და „ბორნმუთზე“.

* * *

**„პსჟ-ს თავდამსხმელი ნეიმარი ჩემპიონთა ლიგაში მადრიდის „რეალთან“ძ ვერ ითამაშებს. როგორც პარიზული კლუბის ვებ-გვერდი იტყობინება, ბრაზილიელის ტრავმა საგანგაშო არ გამოდგა, მაგრამ აღდგენითი პროცესის დასრულება ესპანურ გრანდთან საპასუხო მატჩამდე ვერ მოესწრება.**



შეგახსენებთ, რომ ნეიმარმა ტრავმა „მარსელთან“ შეხვედრაში მიიღო. 25 წლის შემტევს ფეხი გადაუბრუნდა, რის შედეგადაც მოედანი თვალცრემლიანმა დატოვა.

თავიდან იყო საშიშროება, რომ დაზიანდება სერიოზული აღმოჩნდებოდა და ნეიმარს ლაზარეთში დიდი ხნით მოუწევდა გადანაცვლება.

* * *

**ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ პრემიერლიგის ხელმძღვანელობასთან 2019-2020 წლების სეზონიდან ჩემპიონატში ზამთრის შესვენების დაწესების შესახებ შეთანხმებას მიაღწია.**

როგორც The Times-ი იტყობინება, პაუზისთვის დრო ინგლისის თასის მეხუთე რაუნდის მატჩების შუა კვირაში გადატანით გამოიყოფა. ამასთან, გაუქმდება გადათამაშებები. ამგვარად, პრემიერლიგის კლუბებს თებერვლის თვეში დასვენებისთვის სულ მცირე 13 დღეს გამოუყოფენ.

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის თავკაცები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს გადაწყვეტილება გააუმჯობესებს ინგლისური კლუბების შედეგებს ევროტურნირებზე და წარმატებულ გამოსვლაში დაეხმარება ეროვნულ ნაკრებსაც.




**გიორგი შოთაძე**

# შეუმოწმებელი ხორცის ქუჩაში გაყიდვა უნდა აიკრძალოს!

**„სახელმწიფომ პრობლემა სწორედ აგრარულ ბაზრებში უნდა ეძებოს, თუმცა კითხვები ყოველთვის ჩვენი მისამართით ისმის“, — ამის შესახებ „კომერსანტს“ სასაკლაოების ხელმძღვანელებმა ხორცის უვნებლობასთან დაკავშირებული საკითხის კომენტირებისას განუცხადეს.**

კერძოდ, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ რამდენიმე ხორცის სარეალიზაციო ობიექტი დააჯარიმა. სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში, შემოწმდა საბითუმო-სარეალიზაციო ობიექტი შპს „აგროფერმა“, სადაც მიმდინარე წელს განხორციელებული შემოწმებების შედეგად სააგენტოს წარმომადგენლებმა 2 ტონაზე მეტი ვადაგასული და საეჭვო წარმომავლობის ადგილობრივი ხორცი გამოავლინეს.

დარღვევის შემთხვევა კვლავ დაფიქსირდა, თუმცა ამჯერად შპს „ახალ ხორცის“ საბითუმო-სარეალიზაციო ობიექტში, რის გამოც თბილისის საქალაქო სამსახურის ინსპექტორებმა 500 კილოგრამზე მეტი ვადაგასული და ჯანმრთელობის ნიშანდების გარეშე ხორცი დალუქეს.



როგორც „კომერსანტს“ აღნიშნულ თემაზე სურსათის ეროვნულ სააგენტოში განუცხადეს, ორივე შემთხვევაში ხორცი, რომელიც საეჭვო წარმომავლობისაა, სრულად განადგურდება.

რამდენად დაცულია მოსახლეობის ჯანმრთელობა და როგორ რეაგირებს ამაზე სახელმწიფო? ამის შესახებ „კომერსანტს“ „მომავლის ფერმერის თავმჯდომარე“ **რუსუდან გიგაშვილი** ესაუბრა.

როგორც გიგაშვილი აცხადებს, ქვეყანაში ხორცის თემაც ისეთივე პრობლემატურია, როგორც რძის და სასაკლაოების უმეტესობა მიკვლევადი არ არის. მისივე განმარტებით, საეჭვო წარმომავლობის ხორცი შესაძლოა, სწრაფი კვების ობიექტებშიც შედიოდეს.

„ძალიან ცოტა ადამიანი კლავს საქონელს სასაკლაოზე და პირუტყვი ძირითადად ოჯახურ გარემოში იკვლება.

ბაზარზე ასეთი სახით გამოსულ ხორცს ვეტერინარის შემოწმება არა აქვს გავლილი და ეს უკვე დარღვევაა. იმ შემთხვევაში თუ მსხვილფეხა საქონელს გარკვეული სახის დაავადება დაუდგინდა, მეპატრონე მას ყიდის, ეს კი ცალკეულ პრობლემას წარმოადგენს.

**ეს ყველაფერი ეხება როგორც ადგილობრივ ისე იმპორტირებულ პროდუქციას. მეწარმისთვის და ფერმერისთვის სპეციალური სარეალიზაციო ხვრელები არსებობს რაც სამართალდარღვევაა“,** — განმარტა გიგაშვილმა.

„კომერსანტი“ სასაკლაოების ხელმძღვანელებსაც ესაუბრა. მათი განცხადებით, ყველა დადგენილ წესს იცავენ, რადგან მათი შემოწმება სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მუდმივ რეჟიმში ხორციელდება. მათივე თქმით, ძირითადი პრობლემა აგრალურ ბაზრებშია, სადაც უხარისხო ხორცი შედის.

შპს „მატადორის“ ხელმძღვანელი **იოსებ კოხტაშვილი** ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, რომ მათთან ყველა ნორმა დაცულია და ეტიკეტზე ყველა მონაცემია დატანილი.

**„ჩვენთან დაკლული საქონლის ხორცი სპეციალური მაცივრის მეშვეობით კომპანიებში რიგდება. ხორცი დღის ორი საათიდან იკვლება და მაცივარში ინახება, მეორე დილას ის უკვე იმ პარამეტრებში ჯდება რაც ეტიკეტზეა დატანილი“,** — განმარტა კოხტაშვილმა.

„მატადორის“ ხელმძღვანელის თქმითვე, **„არ უნდა არსებობდეს კერძო მოვაჭრის მიერ გარეთ დაკლული ხორცის წარმოება და ეს სახელმწიფომ უნდა აღმოფხვრას. რას აკეთებს მთავრობა? ქუჩაში ხორცის გაყიდვა უნდა აიკრძალოს, შეუმოწმებელი ხორცის გაყიდვა არ შეიძლება“,** — აღნიშნა კოხტაშვილმა.

შპს „ფაზისის“ დირექტორი **გიგა კუჭუხიძე** აცხადებს, რომ სასაკლაოს ტერიტორიიდან ხორცი წესების სრული დაცვით გადის და მიმდინარე პროცესებს სპეციალურად დანიშნული ვეტექიმი აკვირდება.

„ჩვენ ქვეყანაში ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ სხვადასხვა ადგილზე პირდაპირ ქუჩიდან შესული დიდი ოდენობით პროდუქცია იყრის თავს. მაგალითად, აგრარული ბაზრებიდან, რადგან იქ ხორცი გაუკონტროლებელია და ძირითადი პრობლემაც სწორედ აქედან მოდის.

**სახელმწიფომ პრობლემა სწორედ აგრარულ ბაზრებში უნდა ეძებოს, თუმცა კითხვები ყოველთვის ჩვენი მიმართებით ისმის“,** — განმარტა კუჭუხიძემ.

ამ ეტაპზე ხორცზე ჯარიმა ჯანმრთელობის ნიშანდების გარეშე 1000 ლარია.

საეჭვო წარმომავლობისაა ხორცი, რომელსაც არა აქვს ჯანმრთელობის ნიშანდება (აღნიშვნა, რომელიც დასმულია ცხოველის ტანხორცზე და მიუთითებს, რომ ცხოველმა გაიარა დაკვლის წინა და დაკვლის შემდგომი შემოწმება და დაიკლა ვეტერინარის ზედამხედველობით).

**ლიკა გურაბანიძე**

## სანთელი

**უახლოესი მეგობრები ზურაბ ჭუმბურიძე, ბიძინა მოისწრაფიშვილი, ანზორ გოგიჩაიშვილი, თემურ ბიწაძე, ფრიდონ ლოლაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი პარტიული და საზოგადო მოღვაწე, ჩინებული პროფესიონალი, ჭეშმარიტი მამულიშვილი**

**ზაალ გენძეხაძე**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს და ყველა ჭირისუფალს.**

**მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო! მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა.**

---

**რუსიკო, ბიძინა მოისწრაფიშვილები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ უახლოესი მეგობარი**

**ზაალ გენძეხაძე**

**და თანაუგრძნობენ ოჯახს და ჭირისუფალთ.**

# ესპანეთში ესპანურ-ქართული კრიმინალური ჯგუფის წევრები დააკავეს

**ესპანეთში ქურდობისა და თაღლითობის ბრალდებით ესპანურ-ქართული ჯგუფის წევრები დააკავეს. ადგილობრივი პოლიციის ინფორმაციით, ოთხი ადამიანისგან შემდგარი ჯგუფის სამიზნე ხანშიშესული და დემენციით დაავადებული ადამიანები იყვნენ.**

ბარსელონის პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტი 2017 წლის ოქტომბრიდან მუშაობდა ამ ჯგუფის საქმეზე. მათივე ცნობით, ჯგუფის წევრებს შორის სამი მამაკაცი და ერთი ქალია.

სამართალდამცავების ინფორმაციით, თაღლითური ჯგუფის სამოქმედო გეგმა ასე გამოიყურებოდა ისინი ურეკავდნენ პოტენციურ მსხვერპლს და შემოწმების სამსახურად ეცნობოდნენ. ამის შემდეგ, უნიფორმაში გამოწყობილები მსხვერპლთან მიდიოდნენ და სანამ ერთი მას ლაპარაკით ართობდა, დაჯგუფების დანარჩენი წევრები სახლიდან ძვირფასეულობასა და ფულს იპარავდნენ.

პოლიციის ცნობით, ამ დრომდე დაჯგუფებამ 21 სახლის გაძარცვა მოახერხა.




# სად ვეღარ მოწევ სიგარეტს პირველი მაისიდან?!

**ორი თვის შემდეგ ძალაში შედის 2017 წელს მიღებული კანონი „თამბაქოს კონტროლის შესახებ“, რომლის თანახმადაც, 2018 წლის პირველი მაისიდან თამბაქოს მოწევა (ასევე, ელექტროსიგარეტის) იკრძალება მთელ რიგ დაწესებულებებში.**

**პირველი მაისიდან სიგარეტს ვეღარ მოწევ:**

- ნებისმიერი დანიშნულების შენობა-ნაგებობაში (გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი გამონაკლისისა). იგულისხმება შენობა, რომელსაც აქვს იატაკი, სახურავი ან ჭერი და არანაკლებ 1/2-ზე აქვს ნებისმიერი სახის ან მასალის მოძრავი ან უძრავი კედლები, მათ შორის, ღია ან დახურული ფანჯარა და კარი.
- საზოგადოებრივ ტრანსპორტში (გარდა ტაქსისა და კატერისა);
- საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების, სხვა სასწავლო დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე ახალგაზრდობის ბანაკების, ბავშვთა გასართობი ცენტრების და 18 წლამდე ასაკის პირებისთვის განკუთვნილი სხვა დაწესებულებების შენობა-ნაგებობებში და მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე, აგრეთვე 18 წლამდე ასაკის პირებისთვის განკუთვნილ საზოგადოებრივ შეკრებებზე;
- სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებების შენობა-ნაგებობებში და მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე;
- ბენზინგასამართი, გაზგასამართი და გაზგამანაწილებელი სადგურების, აგრეთვე იმ დაწესებულებათა შენობა-ნაგებობებში და მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე, სადაც ცეცხლსაშიში ნივთიერებები ინახება.
- მოწევა იკრძალება კაფე-ბარებსა და რესტორნებშიც. წაიკითხეთ ამ თემაზე: „რესტორნები არ შევლენ კონფლიქტში კლიენტებთან“.




**სიგარეტის მოწევა დასაშვებია:**

- ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილას;
- თამბაქოს კვამლის შემსწავლელ სპეციალიზებულ ლაბორატორიულ დანადგარში;
- პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც მოწევის პირობებს განსაზღვრავს შესაბამისი მინისტრი;
- წინასწარი დაკავების იზოლატორში;
- კანონის შესაბამისად გაცემული ნებართვის საფუძველზე მოწყობილ სიგარაბარში;
- სამორინეში;
- აეროპორტის სატრანზიტო ზონაში სპეციალურად გამოყოფილ მოსაწევ ოთახში;
- სტაციონარული ფსიქიატრიული და პალიატიური მკურნალობისთვის განკუთვნილ დაწესებულებებში თამბაქოს მოწევა ნებადართულია შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის სპეციალური ბრძანებით დადგენილი წესით.
- 2020 წლის 1 იანვრამდე დასაშვებია სტადიონის ტერიტორიაზე მოწევა.
- 2020 წლის 1 იანვრამდე დასაშვებია თამბაქოს მოწევა სასტუმროს ნომრების არაუმეტეს 20%-ში.

**რამდენი იქნება ჯარიმა კანონის დარღვევისთვის:**

- წესების დარღვევის შემთხვევაში დაწესებულება დაჯარიმდება 500 ლარით, განმეორებისას — 1000 ლარით.
- ფიზიკური პირის შემთხვევაში ჯარიმა 100 ლარია. იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური პირი მოწევს მრავალბინიანი სახლის იმ ნაწილში, რომელიც საერთო ქონებაა (ვესტიბიული, სადარბაზო, დერეფანი, კიბის უჯრედი, სარდაფი, სახურავი, ლიფტი და სხვ.) იგი დაჯარიმდება 50 ლარით, განმეორების შემთხვევაში 100 ლარით.
- სახმელეთო საზოგადოებრივი ტრანსპორტში მძღოლის მიერ მოწევის აკრძალვის მოთხოვნის შეუსრულებლობა, გამოიწვევს მძღოლის დაჯარიმებას 500 ლარით, განმეორებისას 1000 ლარით.
- რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო საზოგადოებრივი ტრანსპორტის მესაკუთრის მიერ შესაბამის სატრანსპორტო საშუალებაში მოწევის აკრძალვის მოთხოვნის შეუსრულებლობა, გამოიწვევს მის დაჯარიმებას 500 ლარით, განმეორებისას — 1000 ლარით.
- ფიზიკური პირის მიერ სახმელეთო საზოგადოებრივ ტრანსპორტში მოწევის აკრძალვის წესების დარღვევა გამოიწვევს 100 ლარით დაჯარიმებას.
- ფიზიკური პირის მიერ საზღვაო, სარკინიგზო და საჰაერო საზოგადოებრივ ტრანსპორტში თამბაქოს მოწევა გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარით, განმეორებისას 100 ლარით.პირველი მაისიდან მარტივდება დაჯარიმების წესი და უფლებამოსილი პირი (საზოგადოებრივ შენობებში პოლიციას, ტრანსპორტის შემთხვევებში შესაბამისი ადმინისტრაციებს, სამედიცინო დაწესებულებებში ჯანდაცვის სამინისტროს) ადგილზე შეუფარდებს ჯარიმას შესაბამის იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს. დაჯარიმებულ პირს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, თუ იგი არ ეთანხმება საჯარიმო სანქციას.

**„კომერსანტი“**

ბერლინალე

# საბავშვო სექცია გამარჯვებულ ფილმებს აჯილდოებს




**ბერლინალე იმითაც არის გამორჩეული კინოფესტივალი, რომ მაყურებელს შესაძლებლობა აქვს, ნახოს საბავშვო ფილმებიც, რომელთა სექცია** Generation Kplus **და** Generation 14plus**-ის სახელწოდებით არის ცნობილი.**

1978 წელს ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალი სპეციალურად ბავშვებისთვის და მოზარდთათვის ქმნის სექციას. აქედან მოყოლებული, ყოველ წელს დაახლოებით 65 მოკლე და სრულმეტრაჟიან ფილმს 35 ქვეყნიდან სთავაზობს ეს სექცია მაყურებელს. 65000 მაყურებელი სტუმრობს ყოველწლიურად ბერლინალეს ამ სექციას და, რა თქმა უნდა, დიდია მისი როლი მოზარდი თაობის ჩამოყალიბებაში, მის ესთეტიკურ აღზრდაში... ეს ფილმები ერთნაირად საინტერესოა როგორც ბავშვების, ისე უფროსებისთვისაც. თითოეული ფილმის ჩვენების შემდეგ დიდხანს არ წყდება დისკუსია შემოქმედებით ჯგუფებსა და მაყურებლებს შორის – კითხვები, პასუხები, კამათი, მსჯელობა, აღფრთოვანების გამოხატვა, კრიტიკული შენიშვნები...

საბავშვო ფილმების სექციას Generation Kplus-ს თავისი თერთმეტი წევრისგან შემდგარი ჟიური ჰყავს, რომელიც საუკეთესო ფილმს, მოკლე და სრულმეტრაჟიანს, საუკეთესოთა შორის ბროლის დათვით აჯილდოებს. ჟიურის წევრებიც ბავშვები არიან თერთმეტიდან თოთხმეტ წლამდე ასაკის, ხოლო Generation 14plus-ის ჟიური თოთხმეტიდან თვრამეტ წლამდე 7 მოზარდისგან შედგება.


კადრი ფილმიდან „ფორტუნა“

წლევანდელ ბერლინალეზე Generation 14plus-ის ჟიურის წევრებმა **იაშა კატიანა რიჰერმა, ლილი რინკლებემ, ზოე რენტმაისტერმა, როზა ნიცშემ, რობერტ შლუეკერმა, იოზეფ ასკარ შოენფელდერმა** და **ჯონათან აუერმა** საბავშვო ფესტივალის მთავარი პრიზი ბროლის დათვი, როგორც საუკეთესო ფილმს, გადასცეს შვეიცარიელი რეჟისორის **ჟერმინალ როუს** (Germinal Roaux) ფილმს „Fortuna“. ფილმში წამოწეული პრობლემა აქტუალურია, მუდმივია, რომელსაც დრო არ ეხება. მძაფრი სიუჟეტით და გამომსახველობით გადმოცემული სურათი, ოპერატორის ვირტუოზული, გამაოგნებლად ამაღლებული, ნატიფი, დახვეწილი ნამუშევარი, საოცარი მგრძნობელობით გამოძერწილი სახეები პერსონაჟებისა, დეტალებით...

14 წლის ფორტუნა შვეიცარიის თოვლიან, მთიან რეგიონში მდებარე მონასტერში ღვთისმშობლის ხატის წინ დაჩოქილი ლოცულობს. გოგონას მეხსიერებიდან არ ამოდის უგზოუკვლოდ დაკარგული მშობლების ხატება, ეთიოპიიდან ხმელთაშუა ზღვით გამოქცევის შემდეგ, რომ აღარ უნახავს. ფილმი სცილდება ყოველგვარ პოლიტიკურ და რელიგიურ დოგმებს. ფორტუნას გულში ბევრი საიდუმლოებით მოცული ამბავია ჩამარხული. მარტოსული, ძლიერი ნებისყოფის და ადამიანურ სითბოს მოკლებული გოგონა აბობოქრებული ზღვისა და თოვლიანი მთების მუქარის ფონზე გადარჩენას დაეძებს...

ჟიურის მოწონება დაიმსახურა აგრეთვე პერუელი რეჟისორის **ალვარო დელგადო-აპარისიოს** ფილმმა „Retablo“. ჰოლანდიელი რეჟისორის **სარა ფელტმაიერის** მოკლემეტრაჟიანი ფილმი „Kiem Holijanda“ ასევე ბროლის დათვით დაჯილდოვდა, შვეიცარიელი **მარი დე მარიკორის** ფილმმა „Je fais ou tu me dis“ ჟიური ქორეოგრაფიული კომპოზიციებით მოხიბლა.

ჟიურის მოწონება წილად ხვდა აგრეთვე ფილმებს: **პოორია ბადკოობეს** (ირანი) „Dressage“-ს, შვედი რეჟისორების **ოლივია კასტებრინგის, იულია გუმპერტის** და **ულრიკა ბანდეირას** „Juck“-ს, პოლონელი პაულინა ციოლკოვსკას „Na zdrowie!“-ეს.

**ლია ვიტეკი**
**ჰელენე ვიტეკი**

## საფრანგეთში ჩინოვნიკები ქუჩაში დაიძინებენ

**საფრანგეთის დედაქალაქის 50 თანამდებობის პირი მთელ ღამეს, ძლიერი ყინვის შემთხვევაშიც, ქუჩაში გაატარებს, რათა უსახლკაროდ დარჩენილებს ყურადღება მიაქციონ.**

**ალსანიშნავია, რომ გასულ წელს 500-მდე უსახლკარო ადამიანი გარდაიცვალა. 2018 წელს, მხოლოდ პარიზში, უკვე 13.**



**თებერვლის შუა რიცხვებში პარიზში ჩატარდა „სოლიდარობის ღამე“, რომლის დროსაც მოხდა უსახლკაროების აღრიცხვა. აქციის ორგანიზატორების მონაცემებზე დაყრდნობით პარიზის ქუჩებში აღირიცხა დაახლოებით ხუთი ათასამდე უსახლკარო. ნაწილი ზამთარში გადაიგზავნება თავშესაფარში. მათგან სამი ათასს არ გააჩნია არანაირი თავშესაფარი, მათ შორის, არც დროებითი.**

## როდის იქნება ბრიუსელში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა უფასო

**ჰაერში მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის მომატების პერიოდში, ბრიუსელში საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასო იქნება.** The Brussels time**-ის ინფორმაციით, საგანგებო წესები ბრიუსელის რეგიონულმა მთავრობამ უკვე დაამტკიცა.**

**გადაწყვეტილების თანახმად, საზოგადოებრივი ტრანსპორტი (მეტრო, ტრამვაი, ავტობუსი და ველოსიპედების გაქირავების სისტემა) უფასო გახდება, იმ პერიოდში, როდესაც ჰაერში მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია 24-საათიან პერიოდში ერთ კუბურ მეტრში 51-დან 70 მილიგრამამდე მიაღწევს.**

**ამას გარდა, შეიზღუდება ტრანსპორტის სიჩქარე და შეშის გამოყენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გათბობის ერთადერთი საშუალებაა.**



**ჰაერის დაბინძურების დონის შემოწმება მოქალაქეებს შეუძლიათ სპეციალურ ვებგვერდზე და მობილური აპლიკაციის საშუალებით.**

## უკრაინელმა მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას გონება დაკარგა

**უკრაინის ინფორმაციული პოლიტიკის მინისტრმა იური სტეციმ კიევში ფორუმზე გამოსვლისას გონება დაკარგა. ფორუმი ყირიმის და სევასტოპოლის საკითხებს ეხებოდა, რომლებიც 2014 წლის მარტში, რეფერენდუმის შედეგად რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნდა.**

**გამოსვლამდე მინისტრმა პირობა მისცა საზოგადოებას, რომ იქნებოდა მაქსიმალურად „გახსნილი და გულწრფელი“ და მინიმალურად „დიპლომატიური“. რის შემდეგაც მან ევროდეპუტატ რებეკა ჰარმსს და უკრაინაში აშშ-ს ელჩს მარი იოვანოვიჩს მიმართა.**



**„თქვენ აცხადებდით, რომ ყირიმი ეს უკრაინაა, ხოლო რუსეთი ოკუპანტი“ - თქვა მინისტრმა, რის შემდეგაც მან თავი ცუდად იგრძნო და ტრიბუნას მოშორდა. სურდა, კულისებში გასულიყო, მაგრამ გონება დაკარგა.**

**წამყვანმა მოიბოდიშა მომხდარის გამო და განმარტა, რომ მინისტრი ავადაა და მათთვის ეს ნორმაა. მან სთხოვა საზოგადოებას, გაგებით მოკიდებოდნენ ამ ფაქტს.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.4763; ევრო - 3.0587;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4814;
100 რუბლი - 4.4274; თურქული ლირა - 0.6553;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4609;
1000 სომხური დრამი - 5.1376.

### ამინდი 28 თებერვლისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | -1, | დღე | +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -5, | დღე | +14 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +4, | დღე | +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | 0, | დღე | +17 |
| თბილისი: | ღამე | +4, | დღე | +14 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge